


ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების
დოკუმენტი

2017 წელი



მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი შეიმუშავა აღნიშნულმა მუნიციპალიტეტმა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) კონტრაქტორი ორგანიზაციის საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის (AYEG) ხელშეწყობით და გამოცემულია სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისისა (SCO) და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADC) ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების მოსაზრებებს.



დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხარდაჭერით.

შინაარსი

1. ზოგადი საპასპორტო მონაცემები 1

2. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა 6

 2.1 სოფლის მეურნეობა..... 6

 2.2 მრეწველობა და გადამამუშავებელი მეურნეობა..... 10

 2.3 ტურიზმი და მომსახურების სფერო..... 12

 3.1 სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურა..... 15

 3.2. ტურისტული და გასართობი ინფრასტრუქტურა..... 16

 4.1 ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა..... 17

 4.2. სოციალური მომსახურეობა 18

5. განათლება, კულტურა და სპორტი..... 19

 5.1 განათლებაზე ხელმისაწვდომობის მდგომარეობა 19

 5.2 კულტურისა და სპორტის სერვისები..... 20

6. გარემოს დაცვა 23

9. მუნიციპალიტეტის ხედვა და მისია..... 31

დანართი 36

1. ზოგადი საპასპორტო მონაცემები

გეოგრაფიული მდებარეობა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში, ადმინისტრაციულად ის მცხეთა-მთიანეთის რეგიონს მიეკუთვნება. მას სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრება დუშეთის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით ახალგორის მუნიციპალიტეტი, დასავლეთით ჯავის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით კი რუსეთის ფედერაცია. მუნიციპალიტეტის ფართობია 1081,7 კმ². ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტყის რესურსები 4,790 ჰა-ს შეადგენს, რაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 4%-ია. ტყეების დიდი ნაწილი, კერძოდ კი 3,500 ჰა სუბ-ალპურ ზონაშია განლაგებული. ამას გარდა, 4,000 ჰა ყაზბეგის ეროვნული პარკის ფარგლებშია დაცული.

სტეფანწმინდა თბილისიდან დაშორებულია 150 კილომეტრით. თბილისიდან სტეფანწმინდამდე დაახლოებით 2.5-3 საათის გზაა. სტეფანწმინდა მდებარეობს რუსეთი საზღვრიდან 12 კილომეტრში. საზღვრამდე მისვლა შესაძლებელია 10 წუთში. მუნიციპალიტეტი 45 კილომეტრითაა დაშორებული ვლადიკავკაზიდან, რომელიც ჩრდილო ოსეთის რეგიონალურ დედაქალაქს წარმოადგენს.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა დასახლებას აქვს მაღალმთიანი სოფლის სტატუსი.

ბუნებრივ კლიმატური პირობები

მუნიციპალიტეტის ტერიტორია მთლიანად მაღალმთიანია. სიმაღლე ზღვის დონიდან 1,700 მ-იდან 5,000 მ-ის ფარგლებში იცვლება. შედარებით დაბალ ზონაში (1,700 მ-ის ფარგლებში) ზომიერი ნოტიო ჰავაა. ზამთარი ცივი და მშრალია, ხოლო ზაფხული — გრილი. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 4,9 °C-ია, ხოლო ნალექების საშუალო წლიური მოცულობა — 800 მმ. ზღვის დონიდან 1,800-2,000 მ-ის ფარგლებში ჰაერის საშუალო ტემპერატურა 3,5 °C-მდე ეცემა, ხოლო ნალექიანობა 1,160 მმ-ს აღწევს. 3,600 მ-ზე მაღლა ნივალური ზონაა გავრცელებული.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბებულია ჰავის სიმაღლებრივი ზონალობა: დაწყებული ზომიერ ნოტიოდან, დამთავრებული მაღალმთის ნოტიო მუდმივთოვლიანი ჰავით. ზღვის დონიდან 1,740 მ-ზე არის ზომიერად ნოტიო ჰავა, ცივი მშრალი ზამთარი და ხანგრძლივი გრილი ზაფხული, სადაც ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 4,9°, იანვრის -5,2°, ივლისის 14,4°, აბსოლუტურ მინიმუმი -34°. ნალექები დაახლოებით 800 მმ წელიწადში.

ზღვის დონიდან 1,970 მ-ზე საშუალო წლიური ტემპერატურაა - 3,5°, ნალექები - 1,160 მმ წელიწადში. ნალექების მაქსიმალური რაოდენობაა მაისში (147 მმ), მინიმალური იანვარში (50 მმ). 3,650 მ სიმაღლეზე საშუალო წლიური ტემპერატურაა -6,1°. აბსოლუტურ მინიმუმი - 42°. თოვლის საფარის ხანგრძლივობა 277 დღე.

მუნიციპალიტეტში გავრცელებული ბუნებრივი საფრთხეა თოვლის ზვავები, ღვარცოფი, წყალდიდობა და მდინარეთა ნაპირების წარეცხვა. მეწყრული მოვლენები მუნიციპალიტეტში ნაკლებადაა გავრცელებული.

წიაღისეული და სხვა ბუნებრივი რესურსები

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი მდიდარია მოსაპირკეთებელი სხვადასხვა სახის ძვირადღირებული გრანიტებით (მწვანე, ყავისფერი დიაბაზი), ქვის საბადოებით, ინერტული მასალებით (ქვიშა, ხრეში). ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის გრანიტის შემდეგი სახეობები:

- დიაბაზის – გველეთის, ჭაუხების, ვეშათ წყაროსი (ჯუთის ზემოთ), დარიალის ნაცრისფერი, დარიალის იასამნისფერი, სოფ. ართხმოს შავი გრანიტი;
- ანდეზიტი - მნის საბადო (შავი თეთრი წინწკლებით), გაიბოტენი-თოთის საბადო (ნაცრისფერი, ლურჯი, წითელი);
- დონატას საბადო - (ნაცრისფერი) ქაბარჯინის მთის ძირში;
- დაციტი - ნოყაუს საბადო (წითელი ფერის);
- ბაზალტი- გუდაურის (ნაცრისფერი);
- ტუფი - ფანშეტის (აგურისფერი), კობის (შავი ფერის)

დიდი რაოდენობითაა ინერტული მასალები მდინარე თერგის ხეობაში. მათი მარაგები შეადგენს რამოდენიმე ათ. კუბს. ნედლეული აკმაყოფილებს სახელმწიფო სტანდარტების შემდეგ მოთხოვნებს:

- ბუნებრივი ქვების ბლოკები მოსაპირკეთებელი ფილების წარმოებისათვის;
- დახერხილი ფილები მოსაპირკეთებლად;
- საკედლე ქვები მთის ქანებისაგან;
- საბორტე ქვები მთის ქანებისაგან;
- ხრეშისა და ქვიშის ბალასტი;
- ღორღი და ხრეში მასიური მთის ქანებისაგან სამშენებლო სამუშაოებისათვის.

ხევში 48 მდინარე და უამრავი პატარა დელეა. რაიონში ყველაზე დიდი და წყალუხვი მდინარე თერგია, რომელიც გამოედინება მთავარი კავკასიონის ქედის ჩრდილო ფერდობის მთა მილგახოხის მყინვარებიდან.

ხდისწყლის ხეობა ყუროსა და შავანას შორისაა, მისი სიგრძე 16-17 კმ-ს ხოლო სიგანე - 5,5 კმ-ს შეადგენს. მდინარე ხდისწყლის ხეობა თავისი ბუნებრივი პირობებით ერთ-ერთი

ულამაზესი ხეობაა, სადაც გავრცელებულია როგორც მცენარეული საფარის, ისე ცხოველთა სამყაროს საინტერესო წარმომადგენლები. საყურადღებოა, რომ ხეობაში ჩანჩქერების მთელი კასკადია.

ხევის მდინარეები ტიპური მთის მდინარეებია. მათი კვება უმთავრესად მყინვარებიდან ხდება. ყაზბეგის რაიონში მრავლადაა ცირკული, დაკიდებული და ხეიმის ტიპის მყინვარები. უახლესი გამოკვლევებით თერგის აუზში 99 მყინვარია, საერთო ფართობით 67,2 კვ.კმ. მდ.თერგის აუზზე მოდის საქართველოს მყინვარების 12,6% და ფართობია -12,2 %.

მუნიციპალიტეტში არის უამრავი მცირე ზომის ტბა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თრუსოს ხეობაში, სოფ.აბანოსთან არსებული კარბონატული ქანებიდან გამომდინარე ნახშირორჟანგიანი წყალი, რომელიც პატარა ტბას ქმნის, 10-15 სმ. სიმაღლის პატარა შადრევნებს წარმოქმნის და დუღილის შთაბეჭდილებას ახდენს. თრუსოს ხეობაში ზღვის დონიდან 3,832 მ. სიმაღლეზე 4 პატარა ტბაა, რომელთა საერთო ფართობი დაახლოებით 1 ჰა-ს შეადგენს.

ხევში მრავლად მოიპოვება სხვადასხვა ტიპის და შემადგენლობის მინერალური წყლები. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია თრუსოს ხეობაში, ჯვრის უღელტეხილის ჩრდ. ფერდობზე, სოფ.ფანშეტთან და სხვაგან არსებული მინერალური წყლები.

თრუსოს ხეობაში არსებული მინერალური წყარო „კეტრისი“ გამოცხადებულია როგორც ბუნების პადროლოგიური ძეგლი. ამ ნარჩანის ტიპის ჰიდროკარბონატული კალციუმიანი წყაროს დებეტი კოლოსალურია.

ასევე მნიშვნელოვანი და ფართო მასშტაბით გამოყენების თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა ჯვრის უღელტეხილის ფერდობზე ე.წ. „ბიდარასთან“ ახლოს არსებული დიდი დებეტის მქონე ნარჩანის ტიპის მინერალური წყარო. ყაზბეგის რაიონში არსებული მინერალური წყლების მთელი კომპლექსი მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსებია, რაც საფუძველს იძლევა განვითარდეს სამედიცინო ტურიზმის.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში არის 6 ტერიტორიული ორგანო: დაბა სტეფანწმინდა, სიონი, სნო, გორისციხე, კობი და გუდაური.


- დაბა სტეფანწმინდაში შემავალი ქალაქი,დაბა/სოფელი: დაბა სტეფანწმინდა, გერგეტის უბანი, ცდო, გველეთი.
- სიონი შემავალი ქალაქი,დაბა/სოფელი: სიონი, გარბანი, არშა ვარდისუბანი, ფანშეტი, გაიბოტენი და თოთი.
- სნო შემავალი ქალაქი,დაბა/სოფელი: სნო, აჩხოტი, ახალციხე, კარკუჩას ჯუთა ქოსელი ართხმო.

- გორისციხე შემავალი ქალაქი, დაბა/სოფელი: გორისციხე, ფხელშე, ტყარშეტი, ყანობი, ხურთისი.
- კობში შემავალი ქალაქი, დაბა/სოფელი: კობი, უხათი, აღმასიანი, ნოგყაუ, ოქროყანა, შევარდენი, მნა, აბანო, კეთრისი, ტეფი, გიმარა, ცოცოლთა, ბურმასიგი, კარათსოფელი, დესი, სუატისი, რესი, ქვემო ოქროყანა.
- გუდაურში შემავალი ქალაქი, დაბა/სოფელი: გუდაური, ქუმლისციხე, სოკურიანი, განისი, ფალაგყაუ, ერეთო.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტს აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი, რაც დამატებით მნიშვნელოვან შესაძლებლობებს იძლევა ადგილობრივი მოსახლეობისა და ბიზნეს სექტორისთვის.

დემოგრაფია

2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების თანახმად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რაოდენობა 37,950 ადამიანია. მათგან 35% ცხოვრობს ქალაქად, დანარჩენი კი - სოფლად. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა რაოდენობა 300-მდეა. მოსახლეობის სტრუქტურა ასაკობრივ ჭრილში მეტ-ნაკლებად თანაბარზომიერადაა წარმოდგენილი, ხოლო ქალების რაოდენობა მცირედით მეტია მამაკაცებისაზე.



დიაგრამა #1. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დინამიკა

ყაზბეგისთვის სეზონური მიგრაციაა დამახასიათებელი. მოსახლეობის თითქმის 40% ტოვებს ყაზბეგს სეზონურად.

ზამთრის პერიოდში დიდთოვლობისას ზოგიერთი სოფელი გარე სამყაროს თითქმის მთლიანად მოწყვეტილია, შეუძლებელია როგორც ფეხით ასევე ტრანსპორტით გადაადგილება რაც იწვევს სოფლებიდან მიგრაციას.

ტურიზმის განვითარებასთან ერთად შეინიშნება სეზონური მიგრანტების უკან დაბრუნება. დაბრუნებული მოსახლეობის უმეტესობა ხსნის საოჯახო სასტუმროებს. ოჯახის წევრების ნაწილი ზაფხულის განმავლობაში საცხოვრებლად ყაზბეგში რჩება, ხოლო ზამთრის განმავლობაში კვლავ თბილისში ბრუნდება.

ცხრილი #1. ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რიცხოვნობა ასაკისა და სქესის მიხედვით

ასაკობრივი ჯგუფები	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	3,795	1,859	1,936
0-4	221	123	98
5-9	203	114	89
10-14	180	92	88
15-19	172	94	78
20-24	182	109	73
25-29	229	131	98
30-34	243	134	109
35-39	258	133	125
40-44	301	172	129
45-49	275	131	144
50-54	280	144	136
55-59	239	91	148
60-64	294	130	164
65-69	212	85	127
70-74	215	86	129
75-79	157	53	104
80-84	89	25	64
85+	45	12	33

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში 2016 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, აღირიცხება 947 პენსიონერი. მუნიციპალიტეტში მძიმეა სოციალური ფონიც, 1,538 პირი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში, რაც მოსახლეობის 41.6%-ია. ხოლო საარსებო შემწეობას იღებს - 1,001 პირი (429 ოჯახი).

მუნიციპალიტეტში სოციალურ პაკეტთა მიმღებთა რაოდენობა შეადგენს 129 პირს, მათ შორი 92 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია.

მუნიციპალიტეტში დასაქმების და უმუშევრობის ჭრილში ოფიციალური მონაცემები არ მოიპოვება. უფრო მეტიც, ზუსტი მონაცემები მცხეთა-მთიანეთის რეგიონისათვისაც კი არაა ხელმისაწვდომი. ადგილობრივ დონეზე არსებული ინფორმაციით, მუნიციპალიტეტში შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა - 3,000. საჯარო სექტორში დასაქმებულია 370 ადამიანი, საიდანაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული ადამიანების რიცხვია - 21.


ოფიციალური მონაცემები, რაც ხელმისაწვდომი არის ესაა ბიზნესსექტორში დასაქმებულთა რაოდენობა. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად ბიზნეს-სექტორში დასაქმებულთა

რაოდენობა 2014 წელს 1,305 პირი იყო, მონაცემი 2015 წლისათვის მცირედით, მაგრამ მაინც შემცირდა 39 ერთეულით. თუმცა, ეს ციფრი ნადვილად არ ნიშნავს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მესამედი დასაქმებულია. რამდენადაც ხშირად სეზონურად სხვა ქალაქებში მცხოვრები პირები არიან დაქირავებულნი, განსაკუთრებით ტურისტულ ბიზნესში.

ადგილობრივი ხელისუფლება ორიენტირებულია ადგილობრივი სამუშაო ძალის გამოყენებაზე მუნიციპალურ პროექტებში.

2. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტს ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი პერსპექტივა გააჩნია, რომელიც არის საზღვართან სიახლოვე და მუნიციპალიტეტის განსაკუთრებული მიმზიდველობა ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი მდიდარია მოსაპირკეთებელი სხვადასხვა სახის ძვირადღირებული გრანიტების (მწვანე, ყავისფერი დიაბაზი), ქვის საბადოებით, ინერტული მასალებით (ქვიშა, ხრეში). მკაცრი კლიმატისა და მთიანი რელიეფის გამო სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით უპირატესად განვითარებულია მეცხოველეობა. მუნიციპალიტეტის მთლიანი შიდა პროდუქტში 70% უკავია სოფლის მეურნეობას, 7% მრეწველობას, 10% ვაჭრობას.



დიაგრამა #2. დარგობრივი სტრუქტურა ყაზბეგის მუნიციპალიტეტში.

2.1 სოფლის მეურნეობა

გეოგრაფიული მდებარეობით და მკაცრი კლიმატით ყაზბეგის მუნიციპალიტეტი მიეკუთვნება მაღალმთიან ზონას, საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 1 800 მეტრია, თუმცა მისი მდებარეობა განსაკუთრებულ შესაძლებლობას აძლევს მას ბიო პროდუქციის წარმოების მიმართულებით. თუმცა მკაცრი ზამთარი და გეოგრაფიული მდებარეობა არ იძლევა

მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივას, ასევე გართულებული პროდუქციის სარეალიზაციო ბაზართან დაკავშირება, მეორეს მხრივ ეკოლოგიურად სუფთა გარემო და სამეურნეო დანიშნულების სავარგულები ნაყოფიერ ფონს ქმნიან სოფლის მეურნეობის ისეთი დარგების განვითარებისათვის როგორცაა მეცხოველეობა, მეკარტოფილეობა და მეფუტკრეობა.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი მდებარეობს რუსეთ საქართველოს დამაკავშირებელ მთავარ სატრანზიტო მაგისტრალზე, თუმცა მუნიციპალიტეტის მუდმივი სატრანსპორტო ურთიერთობა დანარჩენ მუნიციპალიტეტებთან გაძნელებულია მკაცრის ზამთრის და კობი გუდაურის მაღალმთიანი გადასასვლელის გამო, რაც ბაზართან დაკავშირების პრობლემებსაც ქმნის, ამიტომ მოსახლეობა ნაკლებადაა ორიენტირებული სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე თუ არ ჩავთვლით მეცხოველეობის პროდუქტებს.

მუნიციპალიტეტის სასოფლო სამეურნეო სავარგულების ფართობია 43,721 ჰა, რაც მთლიანი ფართობის (108,175 ჰა) 40%-ს შეადგენს. აქედან კერძო საკუთრებას შეადგენს მხოლოდ 7,617 ჰა, დანარჩენი ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა, დანიშნულების მიხედვით მისი გამოყენება შემდეგნაირად ხდება: სათიბი - 1,293 ჰა, საძოვარი, 42,274 ჰა, სახნავი - 153 და მრავალწლიანი კულტურები მხოლოდ 3 ჰა.

სასოფლო სამეურნეო მიწების აბსოლუტური უმრავლესობა სათიბ საძოვრებს მიეკუთვნება, შესაბამისად მუნიციპალიტეტის უმთავრეს პრიორიტეტად საოფლის მეურნეობაში მეცხოველეობა მოიაზრება, რომელიც ტრადიციული დარგია ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ადგილობრივი კლიმატიდან გამომდინარე მეცხოველეობა მთაბარობის პრინციპით ხასიათდება. თუმცა ბოლო პერიოდში გახშირდა შერეული მეურნეობებიც, სადაც მსხვილფეხა პირუტყვი და ცხვარი ერთად არის გაერთიანებული. 2014 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოსახლეობის საკუთრებაში იყო 3,800 სული მსხვილფეხა პირუტყვი (2,900 ფურით), 500-მდე ღორი, 25,000 თხა და ცხვარი. საბჭოთა პერიოდში მუნიციპალიტეტის ბალანსზე დაახლოებით 1 მლნ-მდე ცხვარი იყო დარეგისტრირებული, მუნიციპალიტეტის ტერიტორია მხოლოდ ზაფხულის პერიოდში გამოიყენებოდა საძოვრებად და ჭარბძოვების გამო ხდებოდა ამ ფართობების თანდათანობითი დეგრადირება, ხოლო ზამთრის პერიოდში ყაზბარდო ბალკარეთის და საქართველოს დაბალი ზონის საძოვრებს იყენებდნენ. საბჭოთა ინფრასტრუქტურის დაშლამ გამოიწვია ჩრდილო კავკასიის ზამთრის საძოვრების დაკარგვა და პირუტყვის რაოდენობის მკვეთრად შემცირება. გარკვეულწილად ამან დადებითად იმოქმედა მუნიციპალიტეტის საძოვრებზე, მცენარეული საფარი და მიწის სტრუქტურა თანდათანობით აღდგა. დღეს არსებული პირუტყვის რაოდენობა არსებულ მიწის რესურსებთან შედარებით გაცილებით მცირეა, ამავე დროს სუსტია სამთაბარო მეცხოველეობის ინფრასტრუქტურა (გადასარევი ტრასები, ვეტერინალური მომსახურება), არაა განვითარებული მეცხოველეობის პროდუქციის გადამუშავება-რეალიზაციის ერთიანი სისტემა. მეცხოველეობის არსებული რესურსებიდან

სარეალიზაციოდ გამოიყენება ძირითადად ხორცი(ცხვარი, მსხვილფეხა), ყველი და მატყლი. მუნიციპალიტეტში დარეგისტრირებული 110 ფერმერული მეურნეობიდან 53 ერთეულში ძირითადი დარგი მეცხოველეობაა, მათგანში 2014 წელს წარმოებულ იქნა 25 ტონა ყველი და 32 ტონა ხორცი. დანარჩენი პირუტყვი მხოლოდ საოჯახო დანიშნულებით გამოიყენება.

მეცხოველეობის განვითარებას აფერხებს ასევე პრობლემები საკვებწარმოების დარგში, მუნიციპალიტეტის რელიეფიდან გამომდინარე გართულებულია სათიბი ფართობების ათვისება და ზამთრისათვის მისი დამზადება, მცირე მექანიზაციის არ არსებობის გამო არ ხდება სათიბი კულტურების კულტივირება.

მემცენარეობა: მრავალწლიანი ფართობი გამოყენებულია მხოლოდ თესლოვან კურკოვანი ხეხილისათვის - 3 ჰა, (მოსავლიანობა 8 ტონა) თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირეოდენ კენკროვან კულტურას (ყოლო, მარწყვი). რომელიც დაახლოებით 0,4 ტონა იწარმოება წელიწადში. სახნავი ფართობები უმეტესად კარტოფილის წარმოებისათვის გამოიყენება სადაც იწარმოება დაახლოებით 1,100 ტონა, მოსახლეობის მცირე ნაწილი სეზონურად აწარმოებს მცირე რაოდენობის ბოსტნეულს და სალათის ფოთოლს, რომელიც იწარმოება მხოლოდ გაზაფხულიდან შემოდგომამდე, კლიმატის გაუარესების შემდეგ ბაზართან დაკავშირება გართულებდა და ამიტომ მათი წარმოების სტიმული დაბალია.

მუნიციპალიტეტში წარმოებული კარტოფილი ბაზარზე მოთხოვნადია და შედარებით მაღალ ფასადაც იყიდება, მუნიციპალიტეტს რეალურად აქვს პოტენციალი წარმოებული სასოფლო სამეურნეო პროდუქცია მოაქციოს ბიო რეგულაციის ჩარჩოებში და განავითაროს მეკარტოფილეობა. შესაძლებელია ასევე ტყის არამერქნული რესურსების სამკურნალოდ გამოყენება. მუნიციპალიტეტში საკმაოდ დიდი რაოდენობით მოიპოვება ქაჯვი, ღანძილი, მოცვი, ასკილი და სხვა სასარგებლო მცენარეები.


მეფუტკრეობა. მუნიციპალიტეტში მეფუტკრეობა მკაცრი ზამთრის გამო ნაკლებადაა განვითარებული, თუმცა ფერმერული მეურნეობების გარკვეული ნაწილი (25) მეფუტკრეობას მისდევს, მათ საკუთრებაშია 1,100-მდე სკა. ძირითადად, ფერმერები რომლებიც მომთაბარე მეცხოველეობას ეწევიან პარალელურად მეფუტკრეობასაც მისდევენ, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ეს ფაქტორი უარყოფითად მოქმედებს მიღებული თაფლის ხარისხობრივ მაჩვენებელზე (მაღალია შარდოვანას კონცენტრაცია). 2014 წელს წარმოებული იქნა 8 ტონა თაფლი.

მუნიციპალიტეტში არსებული თაფლოვანი კულტურების მარაგი, ალპური საძოვრების სახით, მეფუტკრეობის განვითარების საშუალებას იძლევა, თუმცა პრობლემა ზამთრის პერიოდში, გამოზამთრებისას ჩნდება. მეფუტკრეობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მისი მეცხოველეობისაგან გამოცალკეება და დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბება.

მეთევზეობა - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 4 საკალმახე მეურნეობიდან მოქმედებს მხოლოდ 1, საერთო წლიური წარმადობით 305 ტონა. მეთევზეობის

განვითარებისათვის არახელსაყრელ პირობებს ქმნის საკვები ბაზის ხელმიუწვდომლობა და ხარისხიანი სანაშენე ლიფსიტის დეფიციტი.

მუნიციპალიტეტში დარეგისტრირებული 110 ფერმერული მეურნეობიდან 53 მეცხოველეობის მიმართულებით მუშაობს, 25 მეფუტკრეობას, 25 მიწათმოქმედებას (ბოსტნეული და კარტოფილი), 4 მეკენკრეობას და 2 მეთევზეობას ეწევა.



დიაგრამა #3. ფერმერული მეურნეობების დაარგობრივი განაწილება

მუნიციპალიტეტში აგრარული სექტორის განვითარებას ხელს უშლის რიგი ფაქტორები.

ძირითადი პრობლემებიდან შეიძლება გამოვყოთ:

- მცირე მექანიზაციის დეფიციტი ხელს უშლის მეცხოველეობის სექტორში საკვაზწარმოების ბაზის გაძლიერებას, ასევე სახნავი ფართობების სრულყოფილად ათვისებას.
- ვეტერინალური მომსახურების, ცხვრის გადასარევი ტრასების არასრულყოფილი ინფრასტრუქტურა მთავარი ხელშემშლელი ფაქტორია მეცხოველეობის განვითარებისთვის;
- გადამამუშავებელი საწარმოების არ არსებობა იწვევს მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქციის გადინებას ნედლეულის სახით, რაც უარყოფითად აისახება ეკონომიკურ შემოსავლებზე;
- პროდუქციის რეალიზაცია (გარდა ტურიზმის სექტორში ჩართული ფერმერების შემთხვევაში) უმეტესად ხდება შუამავლების მეშვეობით, რაც გამოწვეულია ბაზარზე დაკავშირების პრობლემებთან, რეალიზაცია ხდება დაბალ ფასებში, რაც ზოგიერთ შემთხვევაში თვითღირებულებაზე დაბალია;
- მუნიციპალიტეტის რელიეფიდან გამომდინარე გახშირებულია მეწყერული და ეროზიული მოვლენები, რაც ამცირებს მიწის სავარგულების რაოდენობას და ხარისხს.

გამოწვევები:

- მცირე სასოფლო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდით, შესაძლებელი გახდება როგორც სახნავი ფართობების სრულად ათვისება, ასევე სათიბი ფართობების შესაძლებლობისამებრ გაკულტურება და საკვებწარმოების პროცესში ჩართვა;
- ეფექტიანი ვეტერინალური სერვისი და მთაბარობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება (გადასარეკი ტრასები, საბანებლები...) ხელს შეუწყობს პირუტყვის მწარმოებლობის გაზრდას;
- მეკარტოფილეობის შემნახველი და მეცხოველეობის გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის სტიმულირება მუნიციპალიტეტის მოსახლეობას გაუზრდის ინტერესს გაზარდოს თავიანთი საწარმოო რესურსები და აწარმოონ უფრო მეტი რაოდენობის პროდუქცია;
- წარმოებული პროდუქციის ეფექტიანი რეალიზაცია გაზრდის მოსახლეობის შემოსავალს და წარმოების გაზრდის მოტივაციას;
- ეროზიული და მეწყერული მოვლენების პრევენცია შესაძლებლობის ფარგლებში, შეინარჩუნებს არსებული სავარგულების რაოდენობას და ხარისხს;
- ბუნებრივი რესურსების გეგმაზომიერი არამერქნული მოპოვება, გადამამუშავება რეალიზაცია, მოსახლეობისათვის დამატებითი შემოსავლის მომტანი საქმიანობა გახდება.

2.2 მრეწველობა და გადამამუშავებელი მეურნეობა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში პროდუქციის გამოშვებამ ოფიციალური სტატისტიკით 2015 წელს შეადგინა 118 მლნ. ლარი, რაც წინა წლის მონაცემზე 7%-ით მეტია და რეგიონის ოგივე მაჩვენებლის 20%-ს შეადგენს.

ბიზნესის ბრუნვის მაჩვენებელი 2015 წელს იყო 122 მლნ. ლარი, რომელიც უმნიშვნელოდ დაკლებულია წინა წელთან შედარებით და რეგიონის მონაცემის 17%-ს შეადგენს.

ასევე დიდია მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა რაოდენობა 1,266 პირი, რომელიც უმნიშვნელოდ შემცირებულია 2014 წელთან შედარებით 3%-ით. რეგიონში დასაქმებულთა რაოდენობის 15%-ია.

დაქირავებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება 1,075 ლარს შეადგენს, რაც საქართველოს საშუალო მაჩვენებელს აღემატება 20%-ით და ანალოგიურად მეტია რეგიონის საშუალო ხელფასზე.


ცხრილი #2. ბიზნეს სექტორის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები (2014 წელი)

ბიზნეს სექტორის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები (2014)	ერთეული	მონაცემი
პროდუქციის გამოშვება	მლნ. ლარი	109,8
ბრუნვა	მლნ. ლარი	124,9
დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა	კაცი	1305,0
დაქირავებულთა საშუალო წლიური რაოდენობა	კაცი	1197,0
დაქირავებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურება	ლარი	890,6
დამატებული ღირებულება	მლნ. ლარი	55,9
ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში	მლნ. ლარი	18,5

შესაბამისად ყაზბეგის მუნიციპალიტეტს უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვს რეგიონის ეკონომიკის განვითარებაში.

ზემოხსენებულ ეკონომიკურ მაჩვენებლების დონეზე ასევე მნიშვნელოვნად აისახება დარიალის სასაზღვრო გამშვები პუნქტი.

ყაზბეგში 2015 წლის ოფიციალური სტატისტიკის თანახმად მოქმედია 133 საწარმო, რომელთაა თითქმის ნახევარი არის სასტუმროები და რესტორნები, მერე მოდის ვაჭრობა და სხვა ტიპის ბიზნესები.



დიაგრამა #4. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიზნეს სექტორის მოქმედ საწარმოთა რაოდენობა, საქმიანობის სახეები მიხედვით, 2015 წელი.

ყაზბეგში საწარმოთა ზომის მიხედვით 7 მსხვილი ბიზნესია, 5 საშუალო და 121 მცირე. ამასთან, რომ 2016 წლის იანვარ-ივლისში ახლადრეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობაა 74.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში დარგობრივი ეკონომიკის განვითარების წინაპირობა ტურიზმთან ერთად არის წიაღისეული რესურსები. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს გრანიტის შემდეგი სახეობები:

- ✓ დიაბაზის – გველეთის, ჭაუხების, ვეშათ წყაროსი (ჯუთის ზემოთ), დარიალის ნაცრისფერი, დარიალის იასამნისფერი, სოფ. ართხმოს შავი გრანიტი.
- ✓ ანდეზიტი: მნის საბადო (შავი თეთრი წინწკლებით), გაიბოტენი-თოთის საბადო (ნაცრისფერი, ლურჯი, წითელი).
- ✓ დონატას საბადო - (ნაცრისფერი) ქაბარჯინის მთის ძირში.
- ✓ დაციტი - ნოოყაუს საბადო (წითელი ფერის)
- ✓ ბაზალტი- გუდაურის (ნაცრისფერი)
- ✓ ტუფი - ფანშეტის (აგურისფერი), კობის (შავი ფერის)

დიდი რაოდენობითაა ინერტული მასალები მდინარე თერგის ხეობაში.

მუნიციპალიტეტში განხორციელდა მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები - ჰესების მშენებლობა ლარსი ჰესი, დარიალ ჰესი და ყაზბეგი ჰესის მშენებლობა. ასევე დაგეგმილია ყაზბეგის მუნიციპალიტეტში შემდეგი ინვესტიციები - მინერალური წყლის ჩამომსხმელი საწარმოების მშენებლობა, ლოჯისტიკური ცენტრის მშენებლობა, სასტუმროების მშენებლობა.

2.3 ტურიზმი და მომსახურების სფერო

ყაზბეგს ტურისტებისათვის უამრავი რამის შეთავაზება შეუძლია. გარდა გუდაურის სათხილამურო კურორტისა (რომელსაც ამ ანგარიშში არ განვიხილავთ), ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, რომლის ადმინისტრაციული ცენტრი სტეფანწმინდაშია, ამაყობს მყინვარწვერით, საქართველოს და კავკასიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სიმბოლოთი, და ქვეყნის ყველაზე უფრო ადვილად მისადგომი 5 ათას-მეტრიანი მწვერვალით. ყაზბეგში ასევე არის გერგეტის სამება, გველეთის ჩანჩქერები და ტბა, ჯუთა, ჭიუხის მასივი, ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმი და უნიკალური თრუსოს ხეობა, მნის ხეობა, ხდის ხეობა. ყაზბეგში შეიძლება მოიაროთ ასობით, ან შეიძლება ათასობით, ულამაზესი საფეხმავლო ბილიკი ყაზბეგის ეროვნული პარკის თუ მის მიმდებარე ტერიტორიებზე. სტეფანწმინდა არის თბილისიდან მანქანით 2.5 სთ-ის გზაზე. ამიტომაც, ყაზბეგის სტუმრების დიდი ნაწილი მხოლოდ ერთი დღით ჩამოდის მყინვარწვერის და გერგეტის სამების სანახავად. შესაბამისად, ყაზბეგი არის თბილისიდან „ადვილად გასასვლელი“ ადგილი. ყაზბეგი ასევე არის ძალიან ახლოს რუსეთის საზღვართან, სადაც საკმაოდ დიდი მოსახლეობაა. ვლადიკავკაზი, 300 ათასიანი მოსახლეობით, მხოლოდ ერთი საათით არის დაშორებული

სტეფანწმინდიდან. შესაბამისად, ყაზბეგი შეიძლება იყოს მცირეხნიანი გასაჩერებელი ადგილი რუსეთიდან შემოსული ტურისტებისთვის.

ამდენი ტურისტული ღირშესანიშნაობის და დედაქალაქთან სიახლოვის მიუხედავად, ტურიზმის სექტორი ყაზბეგში დიდი ხნის განმავლობაში არ იყო სათანადოდ განვითარებული. ამის ერთ-ერთი მიზეზი დიდი ხნის განმავლობაში გუდაური-სტეფანწმინდის გზის მონაკვეთის ცუდ მდგომარეობაში ყოფნაა. საუკეთესო ამინდის პირობებშიც კი, ამ 30 კილომეტრიანი მონაკვეთის გავლას შეიძლება საათზე მეტი დაჭირვებოდა, ხოლო ნოემბრიდან მარტამდე კი არაპროგნოზირებადი ამინდის გამო გზა ზოგჯერ საერთოდ იკეტებოდა. ღამის გათევით მხოლოდ მცირე რაოდენობის ტურისტები ჩადიოდნენ მუნიციპალიტეტში, ამიტომ არ არსებობდა ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის საჭირო მოტივაცია. მეორეს მხრივ, დაბალი ხარისხის სერვისი და ინფრასტრუქტურა განაპირობებდა ვიზიტორების მცირე რაოდენობას და, ისიც, მათ მხოლოდ ერთ დღიან ვიზიტებს. ეს ქმნიდა ერთგვარ ჩაკეტილ წრეს - რადგან ეკონომიკური სარგებელი ნაკლები იყო, მნიშვნელოვანი ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში არ მიიჩნეოდა გამართლებულად.

თუმცა, ბოლო წლებში ქვეყანაში ტურისტების რაოდენობის მკვეთრ ზრდასთან ერთად, ტურიზმის მასშტაბი ყაზბეგშიც მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამის დასტურად, ბოლო წლებში, საკმაოდ მოიმატა შიდა-მიგრაციამ. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დაიწყო სეზონური საოჯახო ტიპის სასტუმროების გახსნა ყაზბეგში. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ტურიზმი არის ეკონომიკური განვითარების ყველაზე იმედისმომცემი შესაძლებლობა ყაზბეგისთვის, რადგან რაიონი არ არის იდეალური სოფლის მეურნეობის ეფექტური განვითარებისთვის და აქ პრაქტიკულად არ არსებობს ადგილობრივი მრეწველობა.

ყაზბეგში არის ერთი მაღალი კლასის სასტუმრო და ბევრი შედარებით დაბალი კლასის დასარჩენი ადგილი, მაგრამ არ არსებობს საშუალო კლასის სასტუმროები. ყაზბეგი "რუმსის" სასტუმროს გამოჩენა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ყაზბეგის, როგორც სერიოზული ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარებისთვის. თუმცა ოთხ-ვარსკვლავიანი სასტუმრო მვირი სიამოვნებაა ყაზბეგის სტუმრების უდიდესი ნაწილისთვის. რუმსის გარდა, დანარჩენი დასარჩენი ადგილები, ძირითადად, იაფიანი საოჯახო ტიპის სასტუმროებია, რომლებიც კარგ ფასს სთავაზობენ დამსვენებლებს, მაგრამ ხშირად არ სთავაზობენ თუნდაც მარტივ სერვისებს თავიანთ სტუმრებს, იქნება ეს ინდივიდუალური საპირფარეოები ოთახებისთვის თუ მარტივი კულინარიული არჩევანი, რაზეც თანამედროვე ტურისტებში ხშირად შეიძლება იყოს მოთხოვნა.

გამოსაყოფია კიდევ ორი საკითხი, რადგან ისინი ასახავენ ზოგადად ყაზბეგის ტურიზმში არსებულ სიტუაციას. ტურისტებს აქვთ მოთხოვნა გესტჰაუსში დარჩენის ნაცვლად, საღამოს გასართობ ადგილებს ესტუმრონ. ამ მხრივ, არჩევანი საკმაოდ შეზღუდულია. ყაზბეგის მსგავსი ტურისტული დანიშნულების ადგილისთვის უცნაურია, რომ გვიან საღამოს არც-ერთი რესტორანი არაა ღია და არ არსებობს ბარის-მაგვარი გასართობი ადგილი, საკმაოდ

ძვირიან სასტუმრო რუმსს თუ არ ჩავთვლით. ამიტომ, ზოგადად, არსებული მდგომარეობა ხელს უშლის ტურიზმის გამოყენებას რეგიონში დოვლათის შესაქმნელად.

ლოკალური ინტერესები ხშირად უპირისპირდებიან ცვლილებებს, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ცვლილებები რეგიონისთვის სასიკეთო შეიძლება იყოს. ის, რომ ადგილობრივი მძღოლები ეწინააღმდეგებიან გზის შეკეთებას გერგეტის სამებამდე, რადგან მიიჩნევენ, რომ ეს მათ ძვირიან სერვისზე აგებულ მოდელს ავნებს, რაც კარგად გამოხატავს ამ პრობლემის არსს. ყაზბეგი ჩარჩენილია ტურიზმის ძველ ბიზნეს მოდელში, სადაც მთავარი მიზანია დიდი ფულის მიღება მცირე რაოდენობის მოკლე-ვადიანი ტურისტებიდან, და არა კარგი და სანდო სერვისების შეთავაზება ტურისტების დიდი რაოდენობით და დიდი ხნით მოსაზიდად.

საჭიროა ნათელი და მიზან-მიმართული ძალისხმევა, რომ ადგილობრივი ტურიზმი ნაკლებად იყოს დამოკიდებული ფესვგამდგარ კავშირებზე, რომლებიც ხელს უშლიან ისეთი სისტემის ჩამოყალიბებას, სადაც ტურისტებს უფრო ადვილად შეეძლება საჭირო ინფორმაციის მოძიება და მარშრუტების დაგეგმვა. ამ მხრივ ტექნოლოგიების განვითარება უკვე ახდენს გავლენას. გესტჰაუსების დაჯავშნა ძირითადად ონლაინ საიტების დახმარებით ხდება, სადაც ასევე შესაძლებელია სერვისის შეფასება და ინფორმაციების გაცვლა. იმ ქვეყნებში, რომელთა მოსახლეობაც უკვე დიდი ხანია სტუმრობს საქართველოსა და ყაზბეგს, ტურისტები ხშირად პოულობენ ინფორმაციას ადგილობრივ ონლაინ ფორუმებზე და სხვა რესურსებზე.

მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული იქნა შენობა დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტოსთვის, სადაც უნდა აშენდეს ვიზიტორთა ცენტრი.

ყაზბეგის ეროვნული პარკის ვიზიტორთა სტატისტიკა 2015-2016 იანვარი-ივლისის მონაცემებით იანვარში იყო ზრდა 65%-ით, თებერვალში ზრდა 5%-ით, მარტში კლება 10%-ით, აპრილში ზრდა 3%-ით, მაისში ზრდა 1%-ით, ივნისში ზრდა 34%-ით, ივლისში ზრდა 23%-ით. სულ ტურისტთა რაოდენობის ზრდა იყო 50,188-დან 64,440-მდე 2016 წელს 2015 წელთან შედარებით.

3. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ძირითადი პროექტები ინფრასტრუქტურულია და სწორედ ამ დარგის გაუმჯობესებისკენ არის მიმართული. მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი გაზიფიცირებულია და ელექტრომომარაგებაც გამართულია. ბოლო წლებში სოფლებში გაკეთდა საკანალიზაციო ქსელები, წყალმომარაგება, ხიდები, შიდა გზები, ადმინისტრაციული შენობები, სპორტული დარბაზები, ბაღები და ა.შ. თუმცა უკვე განხორციელებული პროექტების გარდა მაინც რჩება უამრავი პრობლემა, რომელიც საჭიროებს მოგვარებას. რიგ სოფლებს არ აქვს გამართული შიდა გზა, საზოგადოებრივი სკვერი, გამართული შიდა ტრანსპორტირება, საკანალიზაციო სისტემა, წყალმომარაგება. მაგ. დაბა სტეფანწმინდაში, სადაც ტურისტული ნაკადის ძირითადი მასა იყრის თავს, არ აქვს

გამართული წვალმომარაგების სისტემა და საჭიროებს განახლება/რეაბილიტაციას. გასამართია ტურისტული სერვისები და ინფრასტრუქტურა. მუნიციპალიტეტის ძირითადი რესურსები მიმართული იქნება სწორედ ამ პრობლემების მოგვარებისკენ.

ბოლო სამ წელიწადში მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის განხორციელდა არაერთი პროექტი.

3.1 სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურა

უკანასკნელ წლებში რეგიონში განხორციელებული ერთ-ერთი ყველაზე დიდი სტრუქტურული ცვლილება გზების გაუმჯობესებაა. ყაზბეგი დაკავშირებულია აღმოსავლეთ-დასავლეთ გზატკეცილთან და თბილისთან „სამხედრო გზით,“ რომელიც რუსეთის საზღვარს კვეთს 136-ე კილომეტრზე. თუკი თბილისიდან ყაზბეგისკენ მიმავალი გზის 2/3, ანუ გუდაურამდე, უკვე დიდი ხანია მისაღებ მდგომარეობაშია, გუდაურსა და სტეფანწმინდას შორის დამაკავშირებელი გზა სულ რამდენიმე წლის წინ შეაკეთეს საფუძვლიანად. უკანასკნელ ხანებში მგზავრობა უფრო მეტად მარტივი და ხანმოკლე გახდა, რამაც მოახდინა რეგიონის ტურისტული ბუმის სტიმულირება.

„სამხედრო გზა“ და ლარსის სასაზღვრო პუნქტი რუსეთთან დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი გზაა. შემოსული ტრანსპორტის მონაცემების მიხედვით, 2012 წელს საქართველოში შემოსული რაოდენობა 921 ათასი იყო, საიდან 91 ათასი ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის საშუალებით შემოვიდა. ეს გზა ასევე მნიშვნელოვანია სომხეთისთვის, რადგან ის რუსეთთან ხმელეთით დამაკავშირებელი ერთადერთი გზაა.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის შიდა გზების საერთო სიგრძეა 1,358 კმ. მუნიციპალიტეტში არის 18 ხიდი. სასმელი წყლის ნაწილის მიწოდება ხდება ცენტრალური სისტემით, რომლის სიგრძეც 44 კმ.-ია.

ბოლო სამი წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთაგან უმეტესობა იყო სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე გათვლილი (იხ.დანართი #1).

გზა - საგზაო პროექტები: სოფ. ხურთისთან მისასვლელი გზის მშენებლობა, დაბა სტეფანწმინდაში სააკაძის ქუჩის რეაბილიტაცია, სოფ. ყანობთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო გამაგრებითი სამუშაოები, დაბა სტეფანწმინდაში ვაჟა-ფშაველას ქუჩის რეაბილიტაცია, სოფ. ფხელშე- სოფ. გორისციხის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია. სოფ. სნოში განხორციელდა სანიაღვრე მილსადენის მშენებლობა (იხ.დანართი 2).

წყალი - წყლის სისტემის სარეაბილიტაციო პროექტები გახორციელებული 2014-2016 წლებში: სოფ. გორისციხეში მაგისტრალური წყალსადენის მშენებლობა, სოფ. ცდოში მაგისტრალური წყალსადენის (დამატებითი) და სოფლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია, სოფ. ყანობში მაგისტრალური წყალსადენის მშენებლობა, სოფ. გარბნის სასმელი წყლის

მომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოები (მე-3, მე-4, მე-5, მე-6, უბანი), სოფ. სიონის წყალსადენის დაზიანებული მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფ. სიონის მაგისტრალური წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფ.ფანშეტის წყლების რეაბილიტაცია, სოფ.არშის წყალსადენის ავარიული მონაკვეთების სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფ. ტყარშეტში წყლის სისტემის სათავე ნაგებობისა და შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები, სოფ. აჩხოტის დაზიანებული წყლის მონაკვეთის შეკეთება, სოფელ სნოში მთავარ ქუჩაზე სასმელი წყლისა და გზის რეაბილიტაცია, სოფ.სიონში წყლის სისტემის შიდა ქსელის რეაბილიტაცია, სოფ. ჯუთაში სასმელი წყლისა და სათაო ნაგებობის მაგისტრალის წყალსადენის სამშენებლო სამუშაოები, სოფ. აჩხოტის სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობის სამუშაოები, სოფ. კარკუჩის სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობის სამუშაოები, ჯუთის წყალმომარაგების სათავე ნაგებობისა და რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები, სოფ.არშაში წყლის მაგისტრალის რეაბილიტაცია, სოფ.სნოში წყლის სათავე ნაგებობის და მაგისტრალის რეაბილიტაცია.

საკანალიზაციო ქსელი მოეწყო სოფ. გორისციხეში, სოფ. არშში, ტყარშეტში, სოფ. გარბანში აშენდა საკანალიზაციო ქსელი, სოფ. ყანობში, სოფ. სიონში მოეწყო საკანალიზაციო ქსელი, სოფ. ფანშეტში, სოფ.სნოში.

ჩატარდა სოფ. ფხელშესთან მისასვლელი გზის ნაპირსამაგრი სამუშაოები, სოფ. არშაში მდ. თერგზე ნაპირსამაგრი სამუშაოები.

აშენდა და რეაბილიტაცია ჩატარდა ხიდებს: სოფ. ფანშეტში (მდ. თერგზე) გადასასვლელი ხიდის მშენებლობა, სოფ. ხურთისში მდ. თერგზე გადასასვლელი ხიდის მშენებლობა, თრუსოს ხეობაში (მდ.თერგზე) გადასასვლელი ხიდის მშენებლობა

მოეწყო შემდეგი გარე განათებები: დ. სტეფანწმინდაში გორგასლის ქუჩის გარე განათების მოწყობის სამუშაოები, სოფლებში გარე განათების მოწყობის სამუშაოები,სოფ. გერგეტის უბნის გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები, სოფ. აჩხოტის გარე განათების მოწყობის სამუშაოები, სოფ. გარბანში გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები, სოფ. არშის გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილ იქნა დასუფთავების ნაგვის ურნები და თოვლის გამწმედი ტექნიკა.

3.2. ტურისტული და გასართობი ინფრასტრუქტურა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტებია. აღსანიშნავია ყაზბეგის ეროვნული პარკი.

ყაზბეგის ეროვნული პარკი კავკასიონის ქედის ჩრდილო კალთებზე ისტორიულ ხევში მდებარეობს. მისი საერთო ფართობი 9,030 ჰა-ს შეადგენს. ეროვნული პარკის მხოლოდ 35%-

ია ტყით დაფარული, დანარჩენი კი ალპურ იალაღებს, მორენებს, მუდამ თოვლით დაფარულ მწვერვალებსა და მიუდგომელ კლდეებს უჭირავს. ეროვნული პარკის კლდეები და მთები მრავალი იშვიათი და უნიკალური სახეობის ცხოველისა და ფრინველის თავშესაფარს წარმოადგენს. ყაზბეგის ეროვნული პარკი მაღალმთიანია და მისი ყველაზე დაბალი წერტილი ზღ. დ-დან 1,400 მ-ზე მდებარეობს. ყაზბეგის ეროვნული პარკი, მიუხედავად ტურისტული ინფრასტრუქტურის არარსებობისა, ერთ-ერთი ყველაზე მონახულებადი ადგილია საქართველოს დაცულ ტერიტორიებს შორის. ყაზბეგის ეროვნულ პარკს არ გააჩნია კეთილმოწყობილი ვიზიტორთა ცენტრი და საგამოფენო დარბაზი, თუმცა ფუნქციონირებს ადმინისტრაცია, რომელიც მდებარეობს დაბა სტეფანწმინდაში, ვაჟა ფშაველას ქუჩა N62 და ვიზიტორს საშუალება აქვს მიიღოს მისთვის სასურველი ინფორმაცია.

მუნიციპალიტეტში არის 6 სკვერი, 2 პარკი და ყაზბეგის ეროვნული პარკი.

ასევე არის სკვერი რომელიც მდებარეობს სასტუმრო რუმსთან, მათ მიერ მოხდა მისი კეთილმოწყობა. დაბის ცენტრში მდებარე სკვერი მოეწყო ატრაქციონებით, სხვადასხვა საბავშვო გასართობებით. ასევე ჩატარდა დაბა სტეფანწმინდაში ცენტრალური პარკის მოწყობის სამუშაოები.

ტურიზმის განვითარებისთვის საჭიროა გამგეობის მხრიდან ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, მარშრუტების და გზის მანიშნებლების დამონტაჟება და ტურისტული ღირსშესანიშნაობების განათება.

4. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

4.1 ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მოქმედებს ერთი საავადმყოფო, სადაც საწოლების რაოდენობა შეადგენს 15-ს, ხოლო ექიმების რაოდენობაა - 11. ასევე ფუნქციონირებს 4 ამბულატორია და სასწრაფო დახმარების 1 სადგური.

ფაქტობრივად გაშლილ საწოლთა რაოდენობა შეადგენს 13-ს, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში შემცირებულია 2-ით. საწოლების უზრუნველყოფა 100,000 მოსახლეზე შეადგენს 342,1-ს, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში გაზრდილია 36 ერთეულით. ექიმთა რაოდენობაა 14, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში შემცირებულია ერთით. საექთნო პერსონალის რაოდენობაა 13, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში შემცირებულია 11-ით.

გეგმიური ქირურგიული ოპერაციები 2015 წელს იყო 58, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში შემცირებულია 35-ით, ხოლო გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციები - 5, რაც ბოლო 4

წლის განმავლობაში იგივე დონეზეა. ამბულატორიულ– პოლიკლინიკურ სამსახურში მიმართვიანობამ შეადგინა 6000, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში გაზრდილია 1972-ით. სასწრაფო დახმარების გამოძახება ყოველწლიურად მზარდია და 2012 წელთან შედარებით გაზრდილია 2677-ით და შეადგენს 4940-ს.

რაც შეეხება, მუნიციპალიტეტში გავრცელებულ დაავადებებს: შაქრიანი დიაბეტი აქვს 30 პირს, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში გაზრდილია 2-ით; გულის იშემიური ავადმყოფობა 2012 წელთან შედარებით შემცირებულია 2-ით და შეადგენს 130-ს; ჰიპერტენზიული ავადმყოფობა 2012 წელთან შედარებით შემცირებულია 86-ით და შეადგენს 238-ს; პირველად დადგენილი გულის მწვავე ინფაქტი 2012 წელთან შედარებით გაზრდილია ერთით და შეადგენს 4-ს; ცერებროვასკულური ავადმყოფობა 2012 წელთან შედარებით გაზრდილია 12-ით და შეადგენს 19-ს; ბრონქული ასთმა და ასთმური სტატუსი 2012 წელთან შედარებით შემცირებულია 2-ით და შეადგენს 11-ს, ხოლო პირველად დადგენილი ავთვისებიანი სიმსივნეები 2012 წელთან შედარებით გაზრდილია 8-ით და შეადგენს 8-ს. ენდემური დაავადებებიდან დამახასიათებელია ჩიყვი (იხ.დანართი #5).

ხშირად თბილისის წამყვანი კლინიკებიდან ჩამოდიან კვალიფიცირებული ექიმები, რომლებიც ადგილზე მოსახლეობას უფასოდ უტარებენ გამოკვლევებს და ოპერაციებს.

4.2. სოციალური მომსახურეობა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში სოციალური დახმარების მიმღები მოსახლეობის რაოდენობაა 1,001 ანუ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 27,05%-ია, რაც 2-ჯერ აღემატება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს. ეს მონაცემი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა და საბოლოო ჯამში შემცირებულია 844 ერთეულით.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში პენსიონერთა რაოდენობაა 947 ანუ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 25,6%-ია. ეს მონაცემი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გაზრდილია 28 ერთეულით. სოციალური პაკეტის მიმღები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობა შეადგენს 92-ს, ხოლო მარჩენალდაკარგულთა რაოდენობა - 31-ს. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობა გაზრდილია 13 პირით, ხოლო მარჩენალდაკარგულთა რაოდენობა შემცირებულია 12 ერთეულით. ამასთან, იძულებით გადაადგილებული პირთა რაოდენობა 1 პირს. მრავალშვილიანი ოჯახების რაოდენობაა 137 ოჯახი, ხოლო ომის მონაწილეები - 13.

ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის კვების ვაუჩერის ქვეპროგრამით სარგებლობს 2, ხოლო დამხმარე საშუალებების ქვეპროგრამით - 2 ბენეფიციარი, რაც არსებული საჭიროებებიდან

გამომდინარე ძალიან ცოტაა და მომავალში აუცილებლობას წარმოადგენს შესწავლილ იქნას სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების ინდივიდუალური საჭიროებები.

მთლიანობაში მუნიციპალიტეტში სოციალური მდგომარეობა, სიღარიბის ზღვარს მიღმა რეგისტრირებული პირთა, პენსიონერთა და სხვა მოწყვლადი ბენეფიციართა რაოდენობის გათვალისწინებით, ძალიან მძიმეა.

მუნიციპალიტეტში ხორციელდება შემდეგი პროგრამები (იხ.დანართი #6):

- ა) ახალშობილების ერთჯერადი საჩუქარი - 223 ოჯახი - 62 900;
- ბ) მრავალშვილიანების შემწეობა - 137 ოჯახი - 13 800 ლარი;
- გ) 90 წლის და მეტის ასაკის მქონე პირების საჩუქარი - 41 ადამიანი - 6 000 ლარი;
- დ) მკურნალობის ხარჯების ანაღზაურება - 518 ადამიანი - 149 577 ლარი;
- ე) მედიკამენტებით დახმარება - 1027 ოჯახი - 75 040 ლარი;
- ვ) შშმ პირების დახმარება - 46 ადამიანი - 6 850 ლარი;
- ზ) სრულად დაფინანსდა 93 ადამიანის თვალის ოპერაცია.

„ცე“ - ჰეპატიტით დაავადებული ბენეფიციარები: 2015-2016 წლის მდგომარეობით - 11 პირი.

5. განათლება, კულტურა და სპორტი

მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომია მოსახლეობისთვის მხოლოდ საშუალო და სკოლამდელი განათლების, ასევე კულტურული სფეროს დაწესებულებები. განათლების ინფრასტრუქტურა შედარებით კარგ მდგომარეობაშია, თუმცა საჭიროა სკოლამდელი საბავშვო ბაღების კეთილმოწყობა და დამატება მუნიციპალიტეტში.

5.1 განათლებაზე ხელმისაწვდომობის მდგომარეობა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი ასაკის ბავშვთა რაოდენობა შეადგენს 300 ბავშვს. მუნიციპალიტეტში მოქმედებს 7 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც 167 აღსაზრდელს 17 აღმზრდელი ემსახურება.

ბოლო წლების განმავლობაში დ. სტეფანწმინდის საბავშვო ბაღში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, სოფ. სიონში აშენდა ახალი საბავშვო ბაღი, სოფ. გორისციხის საბავშვო ბაღში ჩატარდა კაპიტალური რემონტი, სოფ. აჩხოტის საბავშვო ბაღში 2016 წელში დაგეგმილია სარემონტო სამუშაოები, სოფ. სნოს საბავშვო ბაღში ჩატარდა ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო დ. სტეფანწმინდის გერგეტის უბანში საბავშვო ბაღში შეიქცალა იატაკი.

ამჟამად იგეგმება მუნიციპალიტეტის მიერ დაბა გუდაურში, ტყარშეტში და სოფ. ყანოზში ბაღების მშენებლობა. მუნიციპალიტეტის სხვა სოფლები უზრუნველყოფილია ბაგა-ბაღების მომსახურებით. მუნიციპალიტეტის მიერ იგეგმება აჩხოტის ბაგა-ბაღის რემონტი და სოფ. გორისციხის ბაღის გაფართოება.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში 8 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა/სკოლაა, მათ შორის ერთი კერძოა. მოსწავლეთა რაოდენობა 514-ია, მათ შორის 124 კერძო სკოლაში. მოსწავლეთა რაოდენობა ბოლო 3 წლის განმავლობაში შემცირებულია 15 ერთეულით. მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს 137, მათ შორის 22 კერძო სკოლაში. მასწავლებელთა რაოდენობა ბოლო 3 წლის განმავლობაში გაზრდილია 7 ერთეულით. მოსწავლეთა და მასწავლებელთა თანაფარდობა შეადგენს 3,8, რაც ბოლო 3 წლის განმავლობაში შემცირებულია 0,3-ით.

ბოლო წლებში, სიონის სკოლაში მოეწყო ექიმის კაბინეტი, დ. სტეფანწმინდის N1 საჯარო სკოლაში შეკეთდა სველი წერტილები და ასევე მოეწყო ექიმის კაბინეტი, სნოს სკოლაში გაკეთდა გათბობა, ხოლო არშის სკოლაში მოეწყო ექიმის კაბინეტი.

5.2 კულტურისა და სპორტის სერვისები

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მოქმედებს ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმი, ასევე ფუნქციონირებს ერთი ფოკლორის ცენტრი. კულტურის სერვისებში შედის: ცეკვა, თეატრი, გობელინი, ხალხური საკრავები, ვაჟთა სიმღერის ანსამბლი, ხალხური სიმღერების ანსამბლი.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 6 სტადიონი და 4 სპორტდარბაზი. სპორტის სერვისებში შედის: მეკლდეურობა, ჭიდაობა, ფეხბურთი, რაგბი, სამთო სათხილამურო.

2016-2017 წლების რეგიონალური განვითარების სახელმწიფო პროგრამით წარმოდგენილი პრიორიტეტებიდან ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანა სპორტული ცხოვრების დონის ამაღლება და განვითარებაა.

ყაზბეგში განსაკუთრებით პოპულარული იყო სპორტის სხვადასხვა სახეობები. წლების მანძილზე მოხვედრები წარმატებას აღწევდნენ, როგორც საქართველოს, ისე ევროპისა და მსოფლიო დონის თამაშებში. გვყავს ჩემპიონები და პრიზიორები ჭიდაობაში, მკლავჭიდსა და მეკლდეურობაში.

სპორტული დარბაზი მდებარეობს დაბის შემოსასვლელში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომია მისი გეოგრაფიული მდებარეობა. შენობა მოძველებული და ამორტიზირებულია, საჭიროებს ნაწილობრივ დემონტაჟს, რომლის დასაწყობება მოხდება შემდგომი გამოყენების მიზნით. დარბაზი უფუნქციოა წლების მანძილზე. მძიმე კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, ბავშვებს 7 თვის განმავლობაში არა აქვთ აქტიური სპორტული ცხოვრების საშუალება.

მუნიციპალიტეტში არსებობდა რესპუბლიკური მასშტაბის ტურნირების ჩატარების ტრადიცია (მაგ. ალიბეგაშვილის ტურნირი ჭიდაობაში, ქირიკაშვილისა და წიკლაურის სახელობის ტურნირები მეკლდეურობაში), რომელიც დღეს მოშლილია.

დღეს სპორტული დარბაზი ემსახურება 80-მდე სკოლის ბავშვსა და ახალგაზრდას. პროექტის განხორციელების შემდეგ მოიმატებს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ბენეფიციარების რაოდენობა და მოემსახურება 1,300-მდე ბენეფიციარს. რეაბილიტაციის პროცესში მშენებლობაზე დასაქმდება 40 ადამიანი, ხოლო მშენებლობის შემდეგ ძირითადად დასაქმდება ადგილობრივი კვალიფიციური 20 კადრი. მუნიციპალიტეტი მთლიანად იღებს პასუხისმგებლობას მის მოვლა-პატრონობაზე და შენახვაზე. მხარის მიმზიდველობიდან გამომდინარე, შემოთავაზებები არის სხვადასხვა რესპუბლიკური თუ საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებების ჩასატარებლად.

აქედან გამომდინარე, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპორტ-დარბაზის მშენებლობას, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სპორტის პოპულარობას, სწორად წარიმართება ბავშვებისა და ახალგაზრდების თავისუფალი დროის გამოყენება, წვრთნისა და შეჯიბრებების ნორმალურ პირობებს შეუქმნის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობას. სპორტულ დარბაზში გათვალისწინებული იქნება შშმ პირებისთვის პანდუსები, სავარჯიშოდ ხელსაყრელი ტრენაჟორები და იქნება სპეციალურად გამოყოფილი მასაჟისტი, ექიმები და ტრენერები. ასევე, ყველაზე მნიშვნელოვანი რაც არის, ასეთი მასშტაბის სპორტული დარბაზის არსებობა ნაწილობრივ შეაჩერებს ახალგაზრდების მიგრაციის პროცესს.

სპორტული ცხოვრების დამკვიდრება მოსახლეობის გაჯანსაღების ერთ-ერთი ყველაზე რეალური მიმართულებაა, რომელიც ზოგავს თანხებს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, არის ყველაზე ეფექტიანი გზა ნარკომანიასთან და ალკოჰოლიზმთან ბრძოლაში. გაიზრდება ფინანსური ეფექტი რეგიონული, რესპუბლიკური და საერთაშორისო ტურნირების ჩატარებით. დარბაზი გაქირავდება თბილისის და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსული სპორტის სხვადასხვა სახეობების (ჭიდაობა, ფეხბურთი, კლდეზე ცოცვა, ფრენბურთი, კალათბურთი და სხვ) გუნდებზე, რომლებიც შეკრებებს გააკეთებენ ყაზბეგის რაიონში, რაც აჩენს დამატებითი შემოსავლების გაჩენის შესაძლებლობას. ძალიან დიდი მოთხოვნაა, რომ ზაფხულის პერიოდში ქართველმა სპორტსმენებმა აქ ივარჯიშონ და ხელსაყრელი პირობების შექმნით ეს პრობლემაც მოგვარდება.

მშენებლობის შემდეგ სპორტული დარბაზის აღჭურვილობის შეძენას და დამონტაჟებას უზრუნველყოფს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობა. აღნიშნული სპორტდარბაზის პროექტის ღირებულება შეადგენს დაახლოებით 1,200,000 (ერთი მილიონ ორასი ათასი) ლარს და მოემსახურება დაახლოებით 1,300 ბენეფიციარს.

ამრიგად, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპორტული დარბაზის მშენებლობა მრავალმხრივ დადებითად აისახება მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტულ ცხოვრებაზე და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე.

რეაბილიტაციას და აღჭურვას საჭიროებს სოფ. გორისციხის, სიონის, არშის, სნოს და კარკუჩის სპორტული დარბაზები, რეაბილიტაციას და აღჭურვას საჭიროებს სოფ. გორისციხის, სიონის, არშის, სნოს და კარკუჩის კულტ. სახლები.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი მდიდარია კულტურის ძეგლებით, რომელთა რაოდენობა 28-ს შეადგენს, კერძოდ:

1. სოფ.შავარდენი-მაცხოვრის სახელობის ბაზილიკური ტიპის ეკლესია;
2. სოფ.მნა-მარიამ წმინდანის სახელობის ბაზილიკური ტიპის ეკლესია IX-Xს;
3. სოფ ზაკაგორი-მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია Xს;
4. სოფ. ყარათყაუ-ბაზილიკური ტიპის-გიორგობის IXს;
5. სოფ.სუატისი-IXს მთავარანგელოზის სახელობის დარბაზის ტიპის ეკლესია;
6. სოფ.რესი-წმ.გიორგის სახელობის ბაზილიკური ტიპის VIს ეკლესია;
7. სოფ.არშა-ბარბარეს სახელობის ეკლესია XXI;
8. სოფ.გაიბოტენი-VII ს კვირე ღვთის შვილის ეკლესია;
9. სოფ.სიონი-ღვთისმშობლის სახელობის ბაზილიკური ტიპის ეკლესია;
10. სოფ.გარბანი-ბაზილიკური ტიპის ეკლესია IX-Xს;
11. სოფ.ფხელშე-ბაზილიკური ტიპის ეკლესია;
12. სოფ.ყანობი-მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია XVIIIს;
13. სოფ ყანობი-მცირე ზომის გუმბათიანი ეკლესია XIXს;
14. სოფ.კობი-წმ.გიორგის ეკლესია;
15. სოფ.გერგეტი-სამება გუმბათიანი XIVს;
16. სოფ.გერგეტი-ამაღკების ეკლესია VIIIს;
17. დ.სტეფანწმინდა-იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია XXIIს;
18. დ.სტეფანწმინდა-ელიობის სახელობის ეკლესია XXIს;
19. დ.სტეფანწმინდა-მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ეკლესია საკათედრო ტაძარი;
20. სოფ.სნო-დარყეობის სახელობის ეკლესია XXს;
21. სოფ.სნო-წმინდა გიორგის სახელობის შუა საუკუნეების;
22. სოფ.სნო-ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესია XXIს;
23. სოფ.აჩხოტი-წმ.ნიკოლოზის სახელობის ეკლესია-მონასტერი XXს-ის ბოლო;
24. სოფ.ახალციხე- ზვთისმშობლის სახელობის ბაზილიკური ტიპის ეკლესია;
25. სოფ.ახალციხე-ყველაწმინდის ეკლესია;
26. სოფ.კარკუჩა-წმ.ნიკოლოზის სახელობის ტაძარი XXI;
27. დარიალის ხეობა-ეკლესია-მონასტერი;
28. დარიალის ხეობა-წმ.გიორგის სახელობის ბაზილიკური ტიპის VIIIს.

6. გარემოს დაცვა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი მდიდარია წყლის რესურსებით. წყლის რესურსები წარმოდგენილია ზედაპირული წყლებით (ტბები, მდინარეები), მიწისქვეშა წყლებით, მუდმივი თოვლის საფარითა და მყინვარებით. მუნიციპალიტეტის მდინარეები ძირითადად მდ. თერგითა და მისი შენაკადებითაა წარმოდგენილი. მდ. თერგის სიგრძე ადმინისტრაციული ერთეულის ფარგლებში 85 კმ-ია. ამას გარდა, მუნიციპალიტეტში სათავეს იღებს მთიულეთის არაგვი. ყაზბეგში მრავლადაა მცირე ზომის ტბებიც. მათგან ყველაზე დიდია არჩვების ტბა, რომლის სარკის ფართობი 0.13 კმ²-ს შეადგენს, სიღრმე კი 6 მ-ს.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტყის რესურსები 4,790 ჰა-ს შეადგენს, რაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 4%-ია. ის ძირითადად მთა-გორიან რელიეფზეა მოქცეული, რაც იწვევს ტყის მასივების სიმცირეს. ტყეების დიდი ნაწილი, კერძოდ კი 3,500 ჰა სუბ-ალპურ ზონაშია განლაგებული. ამას გარდა, 4,000 ჰა ყაზბეგის ეროვნული პარკის ფარგლებშია დაცული. რადგან მუნიციპალიტეტი მთლიანად გაზიფიცირებულია, მოთხოვნა სამეშ რესურსზე არ არის.

ყაზბეგის რაიონის მცენარეული საფარი ბიოლოგიური მრავალფეროვნების საკმაოდ ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი. აქ იზრდება უმაღლესი მცენარეთა (გვიმრანაირები, შიშველთესლოვანები) 1,100 – 1,150 სახეობა, რომლებიც მიეკუთვნებიან 100-მდე ბოტანიკურ ოჯახსა და 400-მდე გვარს. ხევში გაბატონებული მერქნიანი სახეობებია: არყი - 2595 ჰა; ფიჭვი სოსნოვსკის - 369 ჰა; წიფელი აღმოსავლური - 49 ჰა; ვერხვი - 32 ჰა; ტირიფები - 16 ჰა; დეკა-928 ჰა; ქაცვი - 23 ჰა; დანარჩენი სახეობები (ღვია, თხილი, ჭნავი და ა.შ. – 52 ჰა.

უნდა აღინიშნოს, რომ ხევი ტყეების ფართობითა და მერქნის მარაგით არ გამოირჩევა. აქ ძირითადად ტყეს აქვს ეროზიის საწინააღმდეგო წყალმარეგულირებელი, ზვავებისა და ღვარცოფებისგან დამცავი და სარეკრიაციო დანიშნულება. სამრეწველო დანიშნულება ხევის ტყის კორომებს არ გააჩნია.

„ხევის უმაღლეს მცენარეთა ფლორის კონსპექტის“ მიხედვით ხევის ფლორა მოიცავს 103 ოჯახს, 439 გვარს, 1,347 სახეობას; მათ შორის დენდროფლორა 105 სახეობას მოიცავს. ამ ცნობარის მიხედვით ფარულთესლოვანთა (ყვავილოვანთა) ფლორის სახეობებისა და შიდა სახეობრივი ტაქსონების დაახლოებით 26% ენდემურია. ხევში გვხვდება ფრინველთა 120 სახეობა. მათ შორის 42 სახეობა მუდმივად აქ რჩება, 57 სახეობა ბუდობისათვის მოფრინავს, 16 სახეობა აღრიცხულია როგორც გადამფრენი.

ამფიბიებიდან სუბალპურ და ალპურ სარტყლებში (3000 მ-მდე) გვხვდებიან მცირე აზიური ბაყაყი და მწვანე გომბეშო. ქვეწარმავლებიდან ფართოდაა გავრცელებული კავკასიური კლდის ხვლიკი. ტყის პირებსა და ბუჩქნარ ფერდობებზე მცირე რაოდენობით ბინადრობს უფეხო, გველისებური ხვლიკი. პატარა მდინარეების ნაპირებზე ბინადრობს ჩვეულებრივი

ანკარა, უწყინარია, სუბალპურ სარტყელში გვხვდება 50 სმ-მდე სიგრძის გველი სპილენძა. ხევში გავრცელებულია შხამიანი გველიც-ველის გველგესლა. საქართველოს შხამიან გველებს შორის ადამიანისთვის ყველაზე ნაკლებად საშიშია. ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ქვეწარმავლების 19 სახეობიდან ხევში მხოლოდ 5 სახეობა გვხვდება. მღრღნელებიდან აღსანიშნავია კავკასიური თაგვანა, ყაზბეგის თაგვანა, ტყის თაგვი, სხვადასხვა მემინდვრიები.

ხევის ცხოველთა სამყარო მდიდარია მობინადრე ხერხემლიანი (ძუძუმწოვარა) ცხოველებით. ამ მხრივ აღსანიშნავია ჯიხვი, არჩვი, მურა დათვი, მგელი, ფოცხვერი, ტყის კატა, მელა, ტყის კვერნა, კურდღელი, კავკასიური ციყვი, იმიერკავკასიის ზაზუნა (მეტად იშვიათია) და ჩვეულებრივი ციყვი, რომელიც მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან აკლიმატიზირებული იქნა ქლუბორის მიდამოებში და ფართოდ გავრცელდა.

წვრილ ძუძუმწოვართაგან ბევრია იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობა. უმთავრესად ესენია: კავკასიური თაგვანა, ყაზბეგის თაგვანა, გუდაურის მემინდვრია, პრომეთეს მემინდვრია, იმიერკავკასიის ზაზუნა და სხვა. ხევში ფართოდ გავრცელებულია: კოლხური თხუნელა (კავკასიონის ენდემო), რომელიც მცირე რაოდენობით გვხვდება თრუსოს ხეობაში, გუდაურსა და ჯვრის უღელტეხილის მიდამოებში, ჩვეულებრივი გიგა, მცირე გიგა (ვრცელდება 3200 მდე), მცირე რიცხოვნობით ხასითდება.

მუნიციპალიტეტში გავრცელებული ბუნებრივი საფრთხეა თოვლის ზვავები, ღვარცოფი, წყალდიდობა და მდინარეთა ნაპირების წარეცხვა. მეწყრული მოვლენები მუნიციპალიტეტში ნაკლებადაა გავრცელებული. ღვარცოფები მდინარეთა მალლა წელში იცის და ძირითადად სათიბ-საძოვრებს აზიანებს. წყალდიდობის ზონაში კი ძირითადად სოფ. კარკუჩა ხვდება.

მუნიციპალიტეტში საკანალიზაციო ქსელების მოწყობის შესახებ ინფორმაცია იხილეთ დანართ #3. ხოლო, მუნიციპალიტეტში განხორციელებული ნაპირსამაგრი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართ #4.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასათვალისწინებელია მომატებული რისკები ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობებზე, კერძოდ, ლარსი ჰესი, დარიალ-ჰესი, ყაზბეგის ჰესი და დევდორაკი.

ნარჩენების შეგროვებასა და გატანას ახორციელებს ა(ა)იპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის სამსახური“, რომელიც ემსახურება მოსახლეობის 85% (5,100 მოსახლე). მუნიციპალიტეტში არსებობს ლიცენზირებული ნაგავსაყრელი დაბა სტეფანწმინდის ტერიტორიაზე. ის ასევე გამოიყენება საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსებლად. მუნიციპალიტეტში ვხვდებით არალეგალურ ნაგავსაყრელებსაც. ნარჩენების არალეგალურად განთავსების აღკვეთისათვის მოქმედებს დაჯარიმების სისტემა.

ერთ სულ მოსახლეზე წარმოქმნილი ნარჩენი შეადგენს 0.29 მ³. მთლიანად წელიწადში ნაგავსაყრელზე გადის 18,000 მ³ ნარჩენი.

მუნიციპალიტეტს გააჩნია კონტეინერული სისტემა - 100%. კონტეინერების საერთო რაოდენობა შეადგენს 110 ერთეულს. აქედან 100 ლითონის, 10 პლასტმასის. გააჩნია სამი ნაგავმზიდი მანქანა, 2 კომპაქტორი, 1 თვითმცლელი. არ აქვთ სპეც-ავტომეურნეობის სამრეცხაო.

ნარჩენების მართვის მიმართულებით გამოყოფილია მთლიანი ბიუჯეტის 2.33%, რაც შეადგენს 222,000 ლარს.

მუნიციპალიტეტს ესაჭიროება დამატებით 60-მდე ლითონის კონტეინერის დამატება და 2 სპეც-ავტომანქანა, მაღალი გამავლობის მცირე გაბარიტიანს.

7. ხელისუფლება

მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომია შემდეგი სახელმწიფო სერვისები: იუსტიციის სახლი, საბაჟო გამშვები პუნქტი (შემოსავლების სამსახური).

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა საკრებულო, ხოლო აღმასრულებელი ორგანო - მუნიციპალიტეტის გამგეობა.

საკრებულოს კომისიები:

1. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია
2. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია.
3. სოციალურ საკითხთა კომისია.
4. სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია,

ქონების მართვის ბუნებრივი რესურსებისა და ეკონომიკურ საკითხთა კომისია.

გამგეობის სამსახურები

1. გამგეობის სოფლის მეურნეობის, ქონების მართვის,
2. ეკონომიკური და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ადმინისტრაციული სამსახური
3. სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და საამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახური.
4. აუდიტის სამსახური.

ადგილობრივი ბიუჯეტი - 2013 წ. - 5602,0 ათ.ლარი; 2014 წ. - 8001,3 ათ.ლარი; 2015 წ. - 6912,3-ათ.ლარი; 2016 წ. - 9508,3 ათ.ლარი.

ბიუჯეტის ხარჯები ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით არის 2,487 ლარი. 2015 წელში რგფ-დან იყო ნაკლები დაფინანსება, ამიტომ იყო კლების ტენდენცია.

მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტები: გზა, წყალკანალი, ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება.

8. SWOT ანალიზი

1. ინფრასტრუქტურა

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • საერთაშორისო მნიშვნელობის გზების არსებობა; • ელექტროენერჯის მომარაგებით მოსახლეობის სრული უზრუნველყოფა; • ბოლო წლებში განხორციელებული კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია; • სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა; • გარე განათებით დასახლების დიდი ნაწილის უზრუნველყოფა; • ბუნებრივი აირით მოსახლეობის უზრუნველყოფა; • მუნიციპალური ცენტრებისა და საკურორტო ზონების გარე განათების სისტემით უზრუნველყოფა; • მუნიციპალიტეტის სრული დაფარვა მობილური სატელეფონო კავშირგაბმულობის სისტემით 	<ul style="list-style-type: none"> • დასახლებების იერსახის არადადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა; • საზოგადოებრივი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არადადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა; • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიწისქვეშა კომუნიკაციების (სასმელი წყლის, საკანალიზაციო დასანიაღვრე) გაუმართაობა; • მუნიციპალური მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურის არადადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა; • სასმელი წყლის მიწოდების სისტემის გაუმართაობა; • შეზღუდული ხელმისაწვდომობა ინტერნეტზე.
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • წყალმომარაგების და კანალიზაციის ქსელის მოძველებული ნაწილის რეაბილიტაცია; • მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია; • ნარჩენების აღრიცხვის და დახარისხების მართვის სისტემის დანერგვა; • ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობა. 	<ul style="list-style-type: none"> • ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი; • ბუნებრივი და სტიქიური მოვლენების გამო არსებული ინფრასტრუქტურის დაზიანების საფრთხე; • პროექტების ფინანსურ უზრუნველყოფაში დაბრკოლებების წარმოქმნა.

2. ეკონომიკა

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა; • მუნიციპალიტეტის სიახლოვე ქ. თბილისთან და შესაბამის ბაზრებთან; • მეწარმეობის განვითარების პროგრამების განხორციელება დონორი ორგანიზაციების მიერ; • სასაზღვრო გამშვები პუნქტის არსებობა; • საერთაშორისო რეგიონული პროექტები და ნაწილობრივ განახლებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა; • ტურისტების ნაკადების ზრდა და ძლიერი ტურისტული პოტენციალი. 	<ul style="list-style-type: none"> • არა ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად; • მუნიციპალიტეტში არსებული საინვესტიციო პოტენციალის შესახებ ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი; • ინვესტიციების სიმწირე; • საექსპორტო ბაზრებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა; • ფინანსური ინსტიტუტების სერვისებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა; • ბიზნეს განათლების დაბალი დონე; • სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, აგროწარმოებისა და ლოჯისტიკის განვითარების არასათანადო დონე; • მოძველებული ტურისტული ინფრასტრუქტურა; • ტურისტული მომსახურებების დაბალი დონე; • მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ათვისების სტრატეგიის არარსებობა; • სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალი მოსავლიანობა და საქონლის დაბალპროდუქტიულობა; • ფერმერთა შორის კოოპერაციის დაბალი დონე; • მოძველებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და მექანიზაციის საშუალებების ნაკლებობა;
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • ეკონომიკური განვითარების მაღალი პოტენციალი; • კერძო და საჯარო სექტორებს შორის 	<ul style="list-style-type: none"> • ეკონომიკური კრიზისის შედეგად მუნიციპალიტეტში ინვესტიციების შემცირება;

<p>თანამშრომლობის გაღრმავება ორივე სექტორისათვის სასარგებლო პროექტების გამოსავლენად და განსახორციელებლად;</p> <ul style="list-style-type: none"> • ინვესტორების გაზრდილი ინტერესი არსებული წიაღისეულის მიმართ; • სამრეწველო ინდუსტრიის განვითარების პოტენციალი; • სახელმწიფოსა და დონორების მიერ ბიზნეს სექტორის ხელშეწყობისთვის პროგრამების ინიცირება; • ტურისტების მომსახურების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა; • გამოუყენებელი/ ნასვენნი ფართობების ჩართვა წარმოებაში; • საკონსულტაციო ცენტრების განვითარება. • წიაღისეული რესურსების გამოყენება. 	<ul style="list-style-type: none"> • ნარჩენების მართვის სისტემის გაუმართავობის შედეგად ტურისტული ზონების დაბინძურება და ტურისტული პოტენციალის დაქვეითება; • პოლიტიკური არასტაბილურობა; • ეროვნული ვალუტის არასტაბილურობა;
--	--

3. ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • ოჯახის ექიმის მომსახურებით ყველა თემის უზრუნველყოფა; • სოციალური პროგრამების სიმრავლე; • ცენტრალური და რეგიონული ხელისუფლების მიერ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის აღიარება სახელმწიფო სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად • საყოველთაო სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევა 	<ul style="list-style-type: none"> • სოციალურად დაუცველთა თავშესაფრების არარსებობა; • უმუშევრობის მაღალი დონე. • კერძო ინვესტიციების არარსებობა ჯანდაცვის სფეროში.
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • სამედიცინო კადრების გადამზადება და პროფესიული განვითარება; • სამედიცინო მომსახურებისა და 	<ul style="list-style-type: none"> • სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებზე ფასების მატება;

<p>სოციალური უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა;</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსახლეობის ბუნებრივი მატების დადებითი მაჩვენებელი; • პრევენციული ჯანდაცვის განვითარება; • რეგიონულ ცენტრში ძლიერი მუნიციპალური საავადმყოფოს შექმნა, რომელიც კომპლექსურ სამედიცინო მომსახურებას გაუწევს მომხმარებლებს; 	
--	--

4. განათლება, კულტურა და სპორტი;

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სიმრავლე; • მასწავლებელთა გადამზადების შესაძლებლობების უზრუნველყოფა; • ზოგადი განათლების სფეროში განხორციელებული და ინფრასტრუქტურის განახლებისა და გაუმჯობესების მიმდინარე პროექტები; 	<ul style="list-style-type: none"> • სკოლამდელი განათლების დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის გაუმართაობა; • პროფესიული სასწავლებლების ნაკლებობა; • სპორტული დაწესებულებების ინფრასტრუქტურის, სპორტული მოედნების სიმცირე და მათი გაუმართაობა; • მუნიციპალიტეტში მოქმედი სპორტული კლუბების არასათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; • სერტიფიცირებულ მასწავლებელთა მცირე რაოდენობა • სკოლებში თანამედროვე სასკოლო ინვენტარის ნაკლებობა • სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების საკითხების მოუგვარებლობა
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • განათლების სისტემის ადაპტირება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან; • პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობების ხელშეწყობა. 	<ul style="list-style-type: none"> • ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი

<ul style="list-style-type: none"> • ადამიანური რესურსების პროფესიული გადამზადების ხელშეწყობა; 	
---	--

5. გარემოს დაცვა

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • მდინარეების და ტბების დიდი რესურსი; • მარტივი საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობები; • სხვადასხვა სასარგებლო წიაღისეულის დიდი მარაგები; • წიაღისეულის მოპოვებაზე მარტივი ლიცენზირების სისტემა; • მუნიციპალიტეტის მდიდარი ბიომრავალფეროვნება • ყაზბეგის ეროვნული პარკი. • მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ ადრეული შეტყობინების სისტემა; 	<ul style="list-style-type: none"> • წყალმომარაგების სისტემის და ხარისხის მონიტორინგის ლაბორატორიების არ არსებობა; • მოსახლეობის ინფორმირებულების დაბალი დონე გარემოს დაცვის შესახებ • ნარჩენების მართვის არასათანადო სისტემა • ნაგავსაყრელების დაურეგულირებლად გაჩენა (განსაკუთრებით სოფლების მიმდებარე ტერიტორიაზე); • მწირი ტყის რესურსი;
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ ადრეული შეტყობინების დამატებითი სისტემის შექმნა; • ცალკეული სახის სტიქიურ მოვლენებზე პრევენციული ზომების მიღება; • ენერგოეფექტური ტექნოლოგიების წახალისება. 	<ul style="list-style-type: none"> • ბუნებრივი სტიქიები; • სატყეო ფონდის შემცირება და გარემოს დეგრადაცია.

9. მუნიციპალიტეტის ხედვა და მისია

საქართველოს ტერიტორიაზე ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მდებარეობა მის სოციალურ-ეკონომიკურ და ტერიტორიულ პირობებთან ერთად ხელს უწყობს რეგიონში ტურიზმის განვითარების პერსპექტივას.

მუნიციპალიტეტის ხედვა

მუნიციპალიტეტში განვითარებულია ტურიზმი, როგორც მთავარი დარგი. ხდება ტურისტების მოთხოვნების დაკმაყოფილება და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები გაზრდილია, რაც დადებითად აისახა მოსახლეობის კეთილდღეობაზე და ამალდა მოსახლეობის ცხოვრების დონე.

მუნიციპალიტეტის მისია

მუნიციპალიტეტის მისიაა არსებული ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება, ტურისტული მომსახურების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მუნიციპალიტეტში ტურისტულ ნაკადებს და მუნიციპალიტეტის ცნობადობას, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

10. მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტები

პრიორიტეტი 1. ეკონომიკა

პრიორიტეტი 1.1 მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა
<p>ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია; • სხვადასხვა დღესასწაულებისა და ფესტივალების ორგანიზება;
<p>შედეგები:</p> <ul style="list-style-type: none"> • გაზრდილი ტურისტთა კმაყოფილების დონე
დაფინანსება: მუნიციპალიტეტი

პრიორიტეტი 1.2 მუნიციპალიტეტში მრეწველობისა და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა
<p>ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტში საინვესტიციო ბიზნეს პროექტების შემუშავება ინვესტორებისთვის • ინვესტორების დაინტერესება და მოლაპარაკებების წარმოება
<p>შედეგები:</p> <ul style="list-style-type: none"> • გაზრდილი ეკონომიკური მაჩვენებლები მუნიციპალიტეტში
დაფინანსება:

პრიორიტეტი 1.3 სოფლის მეურნეობა
<p>ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • სასოფლო სამეურნეო ტექნიკაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა; • ეფექტური ვეტერინალური სერვისი და მთაბარობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა; • მეკარტოფილეობის შემნახველი და მეცხოველეობის გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის სტიმულირება; • ეროზიული და მეწყერული მოვლენების პრევენცია.
<p>შედეგები:</p> <ul style="list-style-type: none"> • სრულადაა ათვისებული სახნავი მიწები და სათიბი ფართობები;

<ul style="list-style-type: none"> • გაზრდილია პირუტყვის რაოდენობა და მწარმოებლობა, გამოზამთრების პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს; • წარმოებული სასოფლო სამეურნეო პროდუქცია გადამუშავდება სასაქონლო სახით და მიეწოდება ბაზარს; • შენარჩუნებულია არსებული სავარგულების რაოდენობა და ხარისხი.
დაფინანსება:

პრიორიტეტი 2. ინფრასტრუქტურა

პრიორიტეტი 2.1 წყალმომარაგების და კანალიზაციის ქსელის მოძველებული ნაწილის რეაბილიტაცია
<p>ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • საკანალიზაციო სისტემების აშენება რეაბილიტაცია; • წყალმომარაგების სისტემების გამართვა.
<p>შედეგები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსახლეობის უწყვეტი წყალმომარაგება
დაფინანსება: რეგიონული განვითარების ფონდი, მუნიციპალიტეტი

პრიორიტეტი 2.2 მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია
<p>ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი შიდა და საუბნო გზების საავტომობილო ხიდების და ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია; • სანიაღვრე არხების მოწყობა; • გზების მოვლა-შენახვა.
<p>შედეგები:</p> <ul style="list-style-type: none"> • კეთილმოწყობილი საგზაო ინფრასტრუქტურა
დაფინანსება: რეგიონული განვითარების ფონდი, მუნიციპალიტეტი

პრიორიტეტი 3. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა

პრიორიტეტი 3: ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის ხელშეწყობა

<p>ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის შესაბამისი მუნიციპალური პროგრამით დამატებითი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფა; • შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სოციალური ინტეგრაციის შესაძლებლობებით უზრუნველყოფა.
<p>შედეგები:</p> <ul style="list-style-type: none"> • სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის შესაბამისი მუნიციპალური პროგრამით უზრუნველყოფილია დამატებითი სოციალური დახმარება. • შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის უზრუნველყოფილია სოციალური ინტეგრაციის შესაძლებლობები.
<p>დაფინანსება: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</p>

პრიორიტეტი 4. განათლება, კულტურა და სპორტი

<p>4.1. სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა</p>
<p>ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ახალი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აშენება/რეაბილიტაცია; • სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და ინვენტარის შექმნა; • საბავშვო ბაღის პედაგოგთა გადამზადების ხელშეწყობა.
<ul style="list-style-type: none"> • ფუნქციონირებს ახალი და რეაბილიტირებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, რითაც სრულად დაკმაყოფილებულია არსებული საჭიროებები; • გაუმჯობესდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სასწავლო ინვენტარი. • სასწავლო პროცესს მოემსახურებიან მაღალკვალიფიციური, სერთიფიცირებული აღმზრდელ-მასწავლებლები.
<p>დაფინანსება: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.</p>
<p>4.2. კულტურისა და სპორტის სფეროს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.</p>
<p>ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • კულტურისა და სპორტის ობიექტების რეაბილიტაცია და ახალი ინვენტარით აღჭურვა.

შედეგები:

- რეაბილიტირებული და აღჭურვილია კულტურისა და სპორტის ობიექტები.

პრიორიტეტი 5. გარემოს დაცვა

პრიორიტეტი 5. გარემოს დაცვა

ღონისძიებები:

- ნაპირსამაგრი სამუშაოები;
- მოწესრიგებული ნარჩენების გატანის სისტემა

შედეგები:

- ბუნებრივი კატასტროფების შემცირება
- სუფთა გარემო

დაფინანსება:

დანართი

დანართი #1. 2013-2016 წლებში განხორციელებული პროექტები

	პროექტის სრული დასახელება	პროექტის ღირებულება	
		ადგილობრივი ბიუჯეტი	რეგ ფონდი
1	სოფ.ფანშეტში (მდ. თერგზე) გადასასვლელი ხიდის მშენებლობა		623785
2	სოფ. სნოში სანიაღვრე მილსადენის მშენებლობა		155000
3	სოფ.გორისციხეში მაგისტრალური წყალსადენის მშენებლობა		63052
4	სოფ. ცდოში მაგისტრალური წყალსადენის (დამატებითი) და სოფლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია		28888
5	სოფ. ყანობში მაგისტრალური წყალსადენის მშენებლობა		40701
6	სოფ. არმაში მდ. თერგზე ნაპირსამაგრი სამუშაოების (გაბიონების) მოწყობა		124252
7	თრუსოს ხეობაში (მდ.თერგზე) გადასასვლელი ხიდის მშენებლობა		198550
8	თოვლის გამწმედი ტექნიკის შეძენა		300000
9	დაბა სტეფანწმინდის საბავშვო ბაღის რემონტი	69994	
10	ყაზბეგის რიტუალების სახლის სარემონტო სამუშაოებზე	34665	
11	დ.სტეფანწმინდაში გორგასლის ქუჩის გარე განათების მოწყობის სამუშაოები	4340	
12	კოოპერაციის შენობის გადახურვა	5084	
13	სოფ.გერგეტის საბავშვო ბაღის იატაკის შეცვლა	16276	
14	სოფ. გერგეტის უბნის გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები	14665	
15	სოფ.აჩხოტის დაზიანებული წყლის მონაკვეთის შეკეთება.	1141	
16	სოფ. აჩხოტის გარე განათების მოწყობის სამუშაოები	17999	
17	სოფ. გარბანში გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები	11889	

18	სოფ. არშის გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები	29259	
19	სოფ.გარბნის სასმელი წყლის მომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოები (მე-3, მე-4, მე-5, მე-6, უბანი)	21951	
20	სოფ. სიონის წყალსადენის დაზიანებული მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები	446	
21	სოფ. სიონის მაგისტრალური წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები	7586	
22	სოფ.ფანშეტის წყლების რეაბილიტაცია	24423	
23	სოფ.არშის წყალსადენის ავარიული მონაკვეთების სარეაბილიტაციო სამუშაოები	1471	
24	სოფ. გორისციხეში ამბულატორიის მშენებლობის სამირკვლისა და გარე კომუნიკაციის მოწყობის სამუშაოები	8454	
25	სოფ. ფხელშესთან მისასვლელი გზის ნაპირსამაგრი სამუშაოები	48999	
26	გორისციხის საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოებზე	22964	
27	სოფ.ტყარშეტში წყლის სისტემის სათავე ნაგებობისა და შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები	19950	
28	სოფ. სნოში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია		80,000
29	სოფ.სნოში საბავშვო ბაღის თვის ინვენტარის შეძენა		20,000
30	სოფ. ხურთისში მდ. თერგზე გადასასვლელი ხიდის მშენებლობა		542,042
31	სოფელ სნოში მთავარ ქუჩაზე სასმელი წყლისა და გზის რეაბილიტაცია		200,560
32	სოფ.სიონში წყლის სისტემის შიდა ქსელის რეაბილიტაცია		191,000
33	სოფ.ხურთისთან მისასვლელი გზის მშენებლობა		141,465
34	სოფ.გორისციხეში საკანალიზაციო ქსელის მოწყობა		270,141
35	დაბა სტეფანწმინდაში სააკადის ქუჩის რეაბილიტაცია		598,000
36	სოფ. არშის საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები	299998	

37	ტყარშეტის საკანალიზაციო ქსელის მოწყობა	106017	
38	დაბა სტეფანწმინდაში # 2 ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები	30877	
39	სოფ. ჯუთაში სასმელი წყლისა და სათაო ნაგებობის მაგისტრალის წყალსადენის სამშენებლო სამუშაოები	29350	
40	სოფ. ყანობთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო გამაგრებითი სამუშაოები	57660	
41	სოფ.კობის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები	199	
42	სოფ. გორისციხის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები	24890	
43	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გუდაურის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები	78000	
44	სოფ.აჩხოტის სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობის სამუშაოები	5811	
45	სოფ. კარკუჩის სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობის სამუშაოები	3600	
46	ჯუთის წყალმომარაგების სათავე ნაგებობისა და რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები	29350	
47	დ.სტეფანწმინდაში ცენტრალური პარკის მოწყობის სამუშაოები	56,990	
48	დ.სტეფანწმინდაში ვაჟა-ფშაველას ქუჩის რეაბილიტაცია		886,813
49	სოფ.გარბანში საკანალიზაციო ქსელის მშენებლობა		573,325
50	სოფ. ყანობში საკანალიზაციო ქსელის მშენებლობა		202,218
51	სოფ. ფხელშე- სოფ. გორისციხის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია		433,407
52	დ.სტეფანწმინდაში სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია.		1 200 000

53	სოფ.სიონში საკანალიზაციო ქსელის მოწყობა	770,000	
54	საბავშვო ბაღების კეთილმოწყობა		
55	სოფ.ფანშეტში საკანალიზაციო ქსელის მოწყობა	120,000	
56	სოფ.გორისციხის ადმინისტრაციული შენობის რემონტი	150,000	
57	სოფ.აჩხოტში საბავშვო ბაღის შიდა რემონტი	60,000	
58	სოფ.კობის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები	15,000	
59	სოფ.სნოში საკანალიზაციო ქსელის მოწყობა	140,000	
60	სოფ. ხურთისში რიტუალების სახლის მშენებლობა	79.400	
61	სოფ.ჯუთაში რიტუალების სახლის მშენებლობა	57.600	
62	სოფლებში გარეგანათების მოწყობის სამუშაოები	40000	
63	სოფ. სიონში კულტურის სახლის სარემონტო სამუშაოები	100 000	
64	სოფ.ახალციხეში წყლის შიდა ქსელის მოწყობა	20 000	
65	სოფ.არშაში წყლის მაგისტრალის რეაბილიტაცია	58 500	
66	სოფ.სნოში წყლის სათავე ნაგებობის და მაგისტრალის რეაბილიტაცია	40 000	
67	სოფ. სიონში საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა	30 000	
68	დასუფთავების ნაგვის ურნების შექმნა	182.4	

დანართი #2.

პრიორიტეტებისა და მათ ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამების დასახელება		მთლიანად მიმართული სახსრები (ათას ლარებით)			მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ათას ლარებით)		
		სულ	2017	2018	სულ	2017	2018
პროგრამის დასახელება	პროგრ. კოდი						
ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა							
I. პროგრამა საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	030101						
1.1. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დ.სტეფანწმინდის შიდა ქუჩის (ილია ჭავჭავაძის) რეაბილიტაცია (მოსაფალტება)		900,000	900,000		900,000	900,000	
1.2. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დ.სტეფანწმინდის შიდა ქუჩის (მერაბ კოსტავას) რეაბილიტაცია (მოსაფალტება)		900,000	900,000		900,000	900,000	
1.3. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დ.სტეფანწმინდის შიდა ქუჩის (შოთა რუსთაველის) რეაბილიტაცია (მოსაფალტება)		600,000	600,000		600,000	600,000	
1.4. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დ.სტეფანწმინდის შიდა ქუჩის (ვიქტორ ფიცხელაურის) რეაბილიტაცია (მოსაფალტება)		600,000	600,000		600,000	600,000	

1.5. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დ.სტეფანწმინდის შიდა ქუჩის (ილია მეორის) რეაბილიტაცია (მოსაფალტება)	900,000		900,000	900,000		900,000
1.6. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დ.სტეფანწმინდის შიდა ქუჩის (გალაკტიონ ტაბიძის) რეაბილიტაცია (მოსაფალტება)	900,000		900,000	900,000		900,000
II. პროგრამა მრავალბინიანი სახლებისა და ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია	0102					
2.1 ყაზბეგის მუნიციპალიტეტის #2 ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია	300,000		300,000	300,000		300,000

დანართი #3. საკანალიზაციო სისტემის პროექტები (2013-2016 წლები)

	პროექტის სრული დასახელება	პროექტის ღირებულება		
		ადგილობრივი ბიუჯეტი	რეგ ფონდი	
1	სოფ.გორისციხეში საკანალიზაციო ქსელის მოწყობა		270,141	
2	სოფ. არშის საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები	299998		
3	ტყარშეტის საკანალიზაციო ქსელის მოწყობა	106017		
4	სოფ.გარბანში საკანალიზაციო ქსელის მშენებლობა		573,325	
5	სოფ. ყანობში საკანალიზაციო ქსელის მშენებლობა		202,218	

6	სოფ.სიონში საკანალიზაციო ქსელის მოწყობა	770,000		
7	სოფ.ფანშეტში საკანალიზაციო ქსელის მოწყობა	120,000		
8	სოფ.სნოში საკანალიზაციო ქსელის მოწყობა	140,000		

დანართი # 4. ნაპირსამაგრი სამუშაოები (2013-2016 წლები)

#	მუნიციპალიტეტი	პროექტის სრული დასახელება	პროექტის ღირებულება	
			ადგილობრივი ბიუჯეტი	რეგ ფონდი
1	ყაზბეგი	სოფ. არშაში მდ. თერგზე ნაპირსამაგრი სამუშაოების (გაბიონების) მოწყობა		124252
2	ყაზბეგი	სოფ. ფხელშესთან მისასვლელი გზის ნაპირსამაგრი სამუშაოები	48999	

დანართი #5.

მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკა

N	დასახელება	2012 წ.	2013 წ.	2014 წ.	2015 წ.
1	სავადმყოფოსა და სამედიცინო ცენტრების რაოდენობა	1	1	1	1
2	ამბულატორიული ცენტრებისა და პოლიკლინიკური დაწესებულებების რაოდენობა გარდა სტომატოლოგიურ)	0	0	0	0
3	დამოუკიდებელი დისპანსერების რაოდენობა	0	0	0	0
4	ამბულატო-რიის რაოდენობა	0	0	0	0
5	სოფლის ექიმი - მეწარმეების რაოდენობა	3	3	3	3
6	სასწრაფო დახმარების სადგურების (განყოფილება) რაოდენობა	1	1	2	2
7	სისხლის გადასხმის სადგურების (განყოფილება) რაოდენობა	0	0	0	0
8	ფაქტობრივად გაშლილ საწოლთა რაოდენობა	15	15	15	13

9	საწოლების უზრუნველყოფა 100000 მოსახლეზე	306.1	306.1	405.4	342.1
10	ექიმთა რაოდენობა	15	23	19	14
11	საექთნო პერსონალის რაოდენობა	24	27	28	13
12	გეგმიური ქირურგიული ოპერაციები	93	71	69	58
13	გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციები	5	10	4	5
14	მშობიარობა, მათ შორის ბინაზე	6	0	0	4
15	აბორტების რაოდენობა	4	4	1	0
16	ამბულატორიულ- პოლიკლინიკურ სამსახურში მიმართვიანობა	4028	7181	7876	6000
17	სასწრაფო დახმარების გამოძახება	2263	1999	4202	4940
18	შაქრიანი დიაბეტი (წლის ბოლოს იმყოფებიან დაკვირვებაზე)	28	31	30	30
19	გულის იშემიური ავადმყოფობა (წლის ბოლოს იმყოფებიან დაკვირვებაზე)	132	108	101	130
20	ჰიპერტენზიული ავადმყოფობა (წლის ბოლოს იმყოფებიან დაკვირვებაზე)	324	294	270	238
21	სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებული ავადმყოფები გულის მწვავე ინფარქტით	3	4	5	4
22	ცერებროვასკულური ავადმყოფობები (წლის ბოლოს იმყოფებიან დაკვირვებაზე)	7	15	10	19
23	ბრონქული ასთმა და ასთმური სტატუსი (წლის ბოლოს იმყოფებიან დაკვირვებაზე)	13	9	12	11
24	სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებული ავადმყოფები ავთვისებიანი სიმსივნეებით	0	0	0	8
25	ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები (წლის ბოლოს იმყოფებიან დაკვირვებაზე)	0	0	0	0

დანართი #6

პროგრამის დასახელება	2014 წ.		2015 წ.		2016 წ.	
	ბენეფიციართა რაოდენობა	დახმარების საშუალო ოდენობა	ბენეფიციართა რაოდენობა	დახმარების საშუალო ოდენობა	ბენეფიციართა რაოდენობა	დახმარების საშუალო ოდენობა
მუნიციპალიტეტის/ მერიის მიერ განხორციელებული ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამები						
საოპერაციო და სამკურნალო ხარჯების დაფარვა	89	32755	142	49446.15	158	79199
მედიკამენტების შეძენა	32	6818	134	25344.8	134	31880
ახალშობილ ბავშვებზე დახმარება	80	21900	72	22600	44	15200

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	10	2600	38	11160	5	2000
შშმ პირებზე გაცემული ერთჯერადი დახმარებები	17	3700	16	3400	25	4850
90 წელს გადაცილებული ხანდაზმული მოქალაქეების დახმარება	16	3500	16	3750	11	2750